რედაქტორის სვეტი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. ჩვენს ქვეყანაში ინკლუზიური სწავლების დანერგვა 2004 წლიდან იწყება, მას შემდეგ საგანმანათლებლო სერვისების მუდმივი განვითარება და საგანამანათლებლო რესურსების შექმნა პრიორიტეტს წარმოადგენს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინგადაგდმული ნაბიჯია ახალი საგანმანათლებლო რესურსის სახით – ჟურნალის „ინკლუზიურ განათლება“ შექმნა.

მოგეხსენებათ, ინკლუზიური განათლება არის მიდგომა, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვისა თუ მოზარდის ხარისხიან განათლებას, მიუხედავად იმისა, თუ რა სირთულეები გააჩნიათ მათ სწავლაში. ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მოსწავლეთა ინდივიდუალურის საჭიროებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პრაქტიკაში ვიყენებდეთ სწავლების მრავალფეროვან, თანამედროვე, კვლევებით განმტკიცებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს.

ჟურნალის „ინკლუზიური განათლება“ მეორე ნომერში წარმოდგენილი სტატიები მოიცავს ისეთ ღირებულ და აქტუალურ თემებს როგორიცაა: სწავლა სწავლების სტრატეგიები, განმავითარებელი აქტივოებების როლი სწავლა-სწავლების პროცესში, ბავშვის ემოციური და კოგნიტური მზაობა სკოლაში ტრანზიციისათვის, განათლების უწყვეტი მნიშვნელობა და სხვ.

ამავე ნომერში წარმოგიდგენთ ახალ რუბრიკას – „წარმატებული პრაქტიკის გზა“ – მოგეხსნებათ, სპეციალური მასწავლებლი საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია, რომლის უშუალო ჩართულობით, თითოეულ მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა ეფექტიანად იყოს ჩართული სწავლა-სწავლების პროცესში. შესაბამისად, ამ რუბრიკის საშუალებით, წარმატებული სპეციალური მასწავლებლის პრაქტიკის გაზიარება, მნიშვნელოვან დამხმარე საშუალებად მიგვაჩნია მასწავლებელთა მოტივირებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობისათვის.

ჟურნალში დამატებით, იხილავთ სფეროს სპეციალისტების სტატიებს სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა „უწყვეტი სწავლის კონცეფცია“ და მისი მნიშვნელობა პიროვნების ცხოვრებაში, ჟურნალის ფარგლებში ვცდილობთ ზოგადი განათლების სისტემის მიღმა არსებულ საჭიროებებიც მიმოვიხილოთ, მაგალითად, საქართველოში სხვადასხვა სირთულისა თუ საჭიროების მქონე სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დაეუფლონ პროფესიულ განათლებას და დასაქმდნენ.

შესაბამისად მომავალში მკითხველი პროფესიული განათლების სტუდენტების ისტორიებსა და გამოცდილებებსაც გაეცნობა .

ჟურნალში საუბარია USAID საბაზისო განათლების პროგრამის – მრავალშრიანი მხარდამჭერი (MTSS) სისტემის მოდელის დანერგვის შესახებ. MTSS პროაქტიული მიდგომაა, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება, გამოიყენონ აკადემიური და ქცევითი სტრატეგიები სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას. მიდგომის ეფექტურობა საერთაშორისო პრაქტიკითაა დადასტურებული და მის დანერგვას შეუძლია მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებების მოტანა სკოლებისათვის.

ბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო სტატიის თითოეულ ავტორს, საინტერესო და მრავალაფეროვანი თემების განხილვისათვის.

ვიმედოვნებ, დაინტერესებულ მკითხველს ჟურნალში წარმოდგენილი თემები დაეხმარება განახორციელონ ისეთი ცვლილებები, რომლებიც მათ საგანმანათლებლო პრაქტიკას გახდის უფრო საინტერესოსა და ხარისხიანს.

თეონა ხოსიტაშვილი
მთავარი რედაქტორი

ინკლუზიური განათლება
N2'2023

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

მთავარი რედაქტორი
თეონა ხოსიტაშვილი

კორექტორი
მაია წიკლაური

დიზაინერი
ბესიკ დანელია

სარედაქციო კოლეგია

ბერიკა შუკაკიძე
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი

ეკა დგებუაძე
აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის დირექტორი

თინიკო ორველაშვილი
ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის კოორდინატორი

ლია ქურციკიძე
ადრეული და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

თეონა ყაჭეიშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის #198 სკოლის დირექტორი

თამარ ისაკაძე
ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის კონსულტანტი

სოფიკო ცირგაია
ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი:

თბილისი, ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6
ელფოსტა: info@tpdc.ge

WWW.TPDC.GE

ISSN 2960-9879

შინაარსი

სკოლამდელი ინკლუზიური განათლება

ლია ქურციკიძე
3 ბავშვის ემოციური და კოგნიტური მზაობა სკოლაში ტრანზიციისთვის

ინკლუზიური განათლება ზოგადი განათლების საფეხურზე

მაია წულაძე
9 სმენის დაქვეითება ბავშვებში – რა უნდა იცოდნენ მშობლებმა და მასწავლებლებმა

შოთა ზურაბიშვილი
14 მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემა

თინიკო ჭინჭარაული
20 აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთა სწავლების საუკეთესო სტრატეგიები

ნინო ნიკოლეიშვილი
23 კლასის ეფექტური მართვის სტრატეგიები

წარმატებული პრაქტიკის მეზიარება

ეკა ზაქარეიშვილი
27 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერა: წარმატებული პრაქტიკის გაზიარება

ელზა ხუხუნაიშვილი
32 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერა: წარმატებული პრაქტიკის გაზიარება

მეთოდოლოგია

თამარ ისაკაძე
37 სწავლა-სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან

სოფიკო ცირგაია
45 განმავითარებელი აქტივობების როლი სწავლა-სწავლების პროცესში

პროფესიული ინკლუზიური განათლება

ნინო ელბაქიძე
49 მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა – არჩევანი თუ აუცილებლობა

საერთაშორისო გამოცდილება

ტუნა მორკი
54 STATPED-ის გამოცდილება – სპეციალური განათლების მხარდამჭერი სისტემის შექმნა ნორვეგიაში

ბავშვის ემოციური და კოგნიტური მზაობა სკოლაში ტრანზიციისთვის

ლია ქურციკიძე
ფსიქოლოგი,
ადრეული და ინკლუზიური
განათლების სპეციალისტი

ბაღიდან სკოლაში

სკოლამდელი დაწესებულებიდან სკოლაში გადასვლა მნიშვნელოვანი ეტაპია ბავშვის და არა მარტო ბავშვის, არამედ ოჯახის ცხოვრებაში. სკოლაში შესვლა ნიშნავს ფორმალური განათლების დასაწყისს და ბავშვის წინაშე ახლებურ მოთხოვნებს აყენებს. სრულად იცვლება სასწავლო გარემო და რუტინა. თუ საბავშვო ბაღში დღის უმეტეს ნაწილს ბავშვები თავისუფალ და მათ მიერ მართულ საქმიანობებში ატარებენ, სკოლაში მეტად სტრუქტურირებული აქტივობების შესრულება უწევთ. ბაღიდან სკოლაში წარმატებული გადასვლა მოითხოვს როგორც კოგნიტურ, ასევე ემოციურ მზაობას, რაც უზრუნველყოფს ბავშვის ადაპტაციას დაწყებითი სკოლის ახალ გამოწვევებთან და მოლოდინებთან.

რა არის სასკოლო მზაობა?

სასკოლო მზაობა, ფართო განმარტებით, აღნიშნავს „ცოდნისა და უნარების ფართო სპექტრს, რომელიც ქმნის მყარ საფუძველს ბავშვის სამომავლო პროგრესისთვის სკოლასა და ცხოვრებაში“ (EYFS, 2014). ჯერ კიდევ 1995 წელს, ვაშინგტონში, სასკოლო მზაობა განისაზღვრა პირველ პრიორიტეტულ მიმართულებად ეროვნული საგანმანათლებლო მიზნების პანელზე.[1] 2012 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ გამოქვეყნებულ საერთაშორისო ანგარიშში ხაზგასმულია ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყების მნიშვნელობა და აღნიშნულია, რომ მზრუნველ და უსაფრთხო გარემოში ბავშვს შეუძლია იყოს ფიზიკურად და მენტალურად ჯანსაღი, სოციალურად კომპეტენტური და სწავლის უნარებით აღჭურვილი. აღნიშნული განმარტებით კიდევ უფრო ფართოვდება სასკოლო მზაობის შინაარსი და ორიენტირდება არა მხოლოდ ბავშვზე, მის უნარებსა და შესაძლებლობებზე, არამედ იმ გარემოს მზაობაზეც, რომელშიც ბავშვი ცხოვრების ახალ ნაბიჯებს დგამს. „სკოლის მზაობა“ დღეისათვის არამარტო ბავშვის, არამედ ოჯახის, თემის, საზოგადოების მზაობასაც მოიაზ-

ბაღიდან სკოლაში ნარმატებული გადასვლა მოითხოვს როგორც კოგნიტურ, ასევე ემოციურ მზაობას, რაც უზრუნველყოფს ბავშვის ადაპტაციას დაწყებითი სკოლის ახალ გამოწვევებთან და მოლოდინებთან.

რებს. თანამედროვე პერსპექტივა აღიარებს, რომ აღნიშნული მრავალი ფაქტორის ურთიერთქმედება და ყველა რგოლის „მზაობა“ არის მნიშვნელოვანი ბავშვის ახალ გარემოში ეფექტიანი და უმტკივნეულო გადასვლისთვის.[2] წარმატებული ტრანზიცია ბავშვზე ორიენტირებული პროცესია, რომელშიც ჩართულია ყველა რგოლი: ოჯახი, ბაღი, სკოლა.[3]

ხშირად, სასკოლო მზაობა ბავშვის მხოლოდ აკადემიური უნარების განვითარებასთანაა დაკავშირებული. გავრცელებულია შეხედულება, რომ სკოლისთვის მხოლოდ წერის, კითხვისა და მათემატიკური უნარების გამომუშავებაა პრიორიტეტული. შესაბამისად, ბავშვი სკოლისთვის უფრო მეტად იქნება მზად, რაც უფრო ადრიანად აღიჭურვება ამ უნარებით და შეძლებს ასოების გამოწერას, დათვლას, გეომერიული ფიგურების დასახელებას, ციფრების ცნობასა და ჩაწერას. სინამდვილეში, კვლევები აჩვენებს[4], რომ ჩამოთვლილი უნარები არ არის საკმარისი სასკოლო მზაობისთვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ სკოლის, ისევე როგორც სკოლამდელი დაწესებულებების, საგანმანათლებლო მისია ბავშვების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობაა და არა მხოლოდ წერისა და კითხვის. მრავალმხრივი განვითარება კი გულისხმობს ბავშვის როგორც ფიზიკურ, ასევე სოციალურ, ემოციურ, შემეცნებით და დამოუკიდებლობის კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

„სკოლის მზაობა“ დღეისათვის არამარტო ბავშვის, არამედ ოჯახის, თემის, საზოგადოების მზაობასაც მოიაზრებს. თანამედროვე პერსპექტივა აღიარებს, რომ აღნიშნული მრავალი ფაქტორის ურთიერთქმედება და ყველა რგოლის „მზაობა“ არის მნიშვნელოვანი ბავშვის ახალ გარემოში ეფექტიანი და უმტკივნეულო გადასვლისთვის.

სასკოლო მზაობის სტანდარტი

ბავშვის ცხოვრებაში განათლების მიღება გაცილებით ადრე იწყება, ვიდრე სკოლაში შესვლის მომენტია. სკოლამდელი და ადრეული განათლების მიღება მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის (1) და, შესაბამისად, ხელს უწყობს იმ უნარების გამომუშავებას, რომლებიც ბავშვს სკოლასთან უმტკივნეულოდ ადაპტაციაში დაეხმარება. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები[5] განსაზღვრავს თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს უნდა იძენდეს ბავშვი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში და სტანდარტის ერთ-ერთი მიზანი სწორედ სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფაა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ბავშვის სკოლისთვის მომზადებას სკოლამდელი დაწესებულება არა მხოლოდ რომელიმე ერთი ცალკეული სფეროს ან უნარების განვითარებით აღწევს, არამედ ბავშვის მრავალმხრივი განვითარების სტიმულირებით. სკოლამდელი დაწესებულება ქმნის ისეთ გარემოს, რომელშიც ბავშვს შესაძლებლობა აქვს განვითარდეს ფიზიკურად და სენსორულად, სოციალურად და ემოციურად, შემეცნებითად, ასევე, განივითაროს კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების, დამოუკიდებლობისა და ადაპტური უნარები. გარდა განვითარების სფეროებისა, სასკოლო მზაობის სტანდარტი აღწერს იმ ცოდნას, რომელიც ბავშვმა უნდა შეიძინოს შემდეგ სამ თემატურ მიმართულებაში: ხელოვნება, წიგნიერება და მეცნიერება. სასკოლო მზაობის სტანდარტის მიხედვით, 5-დან 6-წლამდე ასაკის ბავშვი:

- ინტერესდება ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნებით და იყენებს მას თვითგამოხატვისთვის.
- ინტერესდება და სიამოვნებას იღებს მხატვრული ნაწარმოებით.
- სწავლობს ცხოვრების ჯანსაღ წესს, სწორად კვებას, ჰიგიენას და ფიზიკურ აქტივობას.
- აკვირდება და შეისწავლის ბუნებას და მასთან ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებას.
- ინტერესდება და ეცნობა საგნებისა და მოვლენების ფიზიკურ მახასიათებლებს.
- ინტერესდება და ეცნობა სივრცეს, დროს, სხვადასხვა კულტურას, ტრადიციებს, სამოქალაქო საკითხებს.
- იყენებს მათემატიკურ უნარებს.
- იყენებს ტექნიკას შესაბამისი დანიშნულებით.

სკოლისთვის ემოციური მზაობა

„სწავლას ემოციური საფუძველი აქვს“ – ამბობდა პლატონი მრავალი საუკუნის წინ. დღეისათვის კი სკოლისთვის მზაობის ერთ-ერთ ყველაზე ცენტრალურ და არსებით კომპონენტად სწორედ ემოციური მზაობა მოიაზრება. გასაკვირი არ არის, რომ ისეთი კომპეტენციები, როგორებიცაა ჯანსაღი თვითშეფასება, ემოციების გაგების, ამოცნობისა და გამოხატვის უნარები ეხმარება ბავშვს ახალ გარემოსთან – სკოლასთან ადაპტაციაში. განვიხილოთ თუ რა უნარებს უნდა ფლობდეს ბავშვი იმისათვის, რომ ემოციური განვითარების თვალსაზრისით, მზად იყოს სკოლის ახალ გარემოსა და მოთხოვნებთან გასამკლავებლად.

ნდობის ჩამოყალიბება და კეთილგანწყობის გამოხატვა ზრდასრულების მიმართ. სკოლაში შესვლის

დღეისათვის კი სკოლისთვის მზაობის ერთ-ერთ ყველაზე ცენტრალურ და არსებით კომპონენტად სწორედ ემოციური მზაობა მოიაზრება.

პირველი წარმატებული და პოზიტიური გამოცდილებები მჭიდროდ უკავშირდება ბავშვსა და მასწავლებელს შორის ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების აღმოცენებასა და განვითარებას. ამისათვის მნიშვნელოვანია, ბავშვს სკოლაში შესვლამდე ჰქონდეს ოჯახის ახლობლებთან და ბაღის აღმზრდელებთან მჭიდრო კავშირის გამოცდილება, რათა სკოლაშიც შეძლოს ენდოს მასწავლებელს და მასთან ერთად თავი უსაფრთხოდ იგრძნოს.

საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის გაზიარება. სკოლისთვის ემოციური მზაობის ერთ-ერთი კომპონენტი თვითიდენტობაა. როდესაც ბავშვმა საკუთარი თავის შესახებ იცის ძირითადი ბიოგრაფიული ცნობები; ესმის, რომ აქვს საკუთარი აზრები, ემოციები და შეგრძნებები; შეუძლია, მარტივად დაამყაროს კომუნიკაცია თანატოლებთან, უფროსებთან, რაც სკოლის სოციალურ გარემოს მისთვის უფრო და უფრო ნაცნობს ხდის და, შესაბამისად, უმარტივდება მასთან შეგუება.

სიახლეებისადმი ინტერესის გამოხატვა, ასევე, მნიშვნელოვანი ემოციური კომპეტენციაა, რომელიც სკოლისადმი მზაობასთანაა დაკავშირებული. რამდენად მზად არის ბავშვი სკოლის ახალ გარემოსთან შეგუებისთვის, დამოკიდებულია იმაზეც თუ როგორ რეაგირებს ის სიახლეებზე. თუ ბავშვი სიახლეებისადმი ცნობისმოყვარეობას იჩენს, ცდილობს მოსინჯოს და შეასრულოს ახალი საქმიანობები, სკოლის გარემო და ახალი მოთხოვნები მისთვის არა სტრესის წყარო, არამედ საინტერესო გამოცდილებების მიღების შესაძლებლობაა.

ემოციების გაგება და ემოციების გამოხატვა. ბავშვების ყოველდღიური ცხოვრება უამრავი მრავალფეროვანი ემოციითაა დატვირთული. სკოლაში ისინი შეიძლება გრძნობდნენ აღფრთოვანებას, შფოთვას, სიხარულს, მოწყენას, იმედგაცრუებას და ა.შ.. რაც უფრო მეტად შეუძლია ბავშვს ამოიცნოს და კონსტრუქციულად გამოხატოს საკუთარი ემოციები, როგორც სასიამოვნო, ასევე უსიამოვნო, მით უფრო მარტივია მისთვის ახალ გარემოში ადაპტირება. ემოციების გაგებისა და გამოხატვის უნარი ეხმარება ბავშვს ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ემოციური კეთილდღეობის შენარჩუნებაში.

სკოლისთვის კოგნიტური მზაობა

მნიშვნელოვანია განვიხილოთ სკოლისთვის მზაობის შემეცნებითი ასპექტებიც, რაც ხელს უწყობს და ეხმარება ბავშვს, მზად შეხვდეს სკოლის ახალ გარემოს, გამოავლინოს საკუთარი პოტენციალის მაქსიმუმი და ინტეგრირდეს ახალ სოციუმში. კოგნიტური სფერო ბავშვის განვითარების ერთ-ერთი მიმართულებაა და მოიცავს ისეთ სააზროვნო უნარებს, როგორებიცაა: ცნობისმოყვარეობა და ყურადღება, შემოქმედებითობა და პრობლემის გადაჭრა, აზროვნება და კვლევა. განვიხილოთ თუ რა უნარებს უნდა ფლობდეს ბავშვი, იმისათვის, რომ შემეცნებითი განვითარების თვალსაზრისით, მზად იყოს სკოლის ახალ გარემოსა და მოთხოვნებთან გასამკლავებლად.

ცნობისმოყვარეობის გამოვლენა სიახლეებისადმი და ყურადღების შენარჩუნება ამოცანაზე. ცნობისმოყვარეობა და დავალებაზე ფოკუსირება ბავშვს ეხმარება ცოდნის ათვისებაში, საკლასო აქტივობებში ჩართვაში, დავალებების შესრულებასა და აკადემიური წარმატების მიღწევაში. მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ დაწყებით კლასებში ბავშვების ყურადღება ჯერ კიდევ არ არის მდგრადი და გარემოში არსებული სტიმულები შესაძლოა ყურადღების კონცენტრირებისთვის ხელისშემშლელი აღმოჩნდეს. შესაბამისად, დიდი როლი ენიჭება მომზადებულ სკოლას, რომელიც ბავშვთა ასაკობრივი განვითარების კანონზომიერების გათვალისწინებით

გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

პრობლემის გადაჭრის უნარების გამოყენება ყოველდღიურობაში. ცხადია, რომ სკოლაში ბავშვს ახალი აკადემიური თუ კოგნიტური ამოცანების შესრულება უწევს, რომლებიც პრობლემის გადაჭრის უნარების გამოყენებას საჭიროებს. მათემატიკური, მარტივი არითმეტიკული ამოცანის ამოხსნა, ბგერების შეერთებით შინაარსის მქონე სიტყვის წარმოება თუ მოსმენილი ტექსტის გააზრება, პრობლემის გადაჭრის უნარებს მოითხოვს. რაც უფრო მეტი გამოცდილება აქვს ბავშვს დამოუკიდებლად გადაჭრას პრობლემა, იპოვოს ახლებური და შემოქმედებითი გზები, მით უფრო მზადაა სკოლის მოთხოვნებთან წარმატებულად გამკლავებისთვის.

მიზეზ-შედეგობრიობა, კანონზომიერება და კვლევა. სკოლისთვის შემეცნებითი მზაობა უფრო მეტადაა დაკავშირებული სააზროვნო პროცესების სიღრმესთან, ვიდრე უშუალოდ ისეთი ფაქტების დამახსოვრებასთან, როგორებიცაა ფერები, წელიწადის დროები, ციფრები თუ ლექსები და მოთხრობები. შეიძლება ითქვას, რომ სკოლისთვის მზადყოფნა გამოიხატება ბავშვის უნარებში, გამოთქვას ვარაუდები, დაგეგმოს ნაბიჯები ჩანაფიქრის შესასრულებლად, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, დააკვირდეს სხვადასხვა მოვლენას და დასვას კითხვა „რატომ?“ და მიიღოს გადაწყვეტილება.

მომზადებული ოჯახი და სკოლა

სკოლისთვის მომზადება, როგორც უკვე აღინიშნა სტატიაში, სკოლის ასაკის დადგომამდე გაცილებით ადრე იწყება. ადრეულ წლებში, დაბადებიდან ექვს წლამდე, ბავშვი იძენს მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მის შემდგომ ცხოვრებაზეც აისახება. ხარისხიანი ადრეული განათლების მომსახურებაში ჩართვა, ბავშვის მრავალმხრივ განვითარებაზე ზრუნვა, ბავშვის განვითარებისა და ზრდის სტიმულირება იწყება დაბადებიდან და არა მხოლოდ სკოლაში შესვლამდე პერიოდის ბოლო ერთი წლიდან. მაგრამ, რადგან სასკოლო მზაობა, ბავშვის გარდა, გულისხმობს ოჯახისა და სკოლის მზაობასაც, მნიშვნელოვანია განვიხილოთ რამდენიმე ასპექტი, რომლებიც ყველა ჩამოთვლილი რგოლის მზაობას განაპირობებს.

ოჯახი მზადაა თუ:

- წინასწარ აქვს ინფორმაცია სკოლის ფილოსოფიის, საგანმანათლებლო პრინციპებისა და მიდგომების, სკოლაში მიმდინარე პროცედურული საკითხების შესახებ;
- იცნობს შვილის მომავალ დამრიგებელსა და მასწავლებელს; სკოლის დაწყებამდე აქვს მათთან პოზიტიური კომუნიკაცია;
- სკოლისთვის გაზიარებული აქვს ბავშვის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია, როგორც ბავშვის ზოგადი სამედიცინო მდგომარეობის, ასევე, მისი ინტერესებისა და პრეფერენციების შესახებ;
- აქვს მკაფიო მოლოდინები თუ როგორ წარიმარ-

თება სკოლის მხრიდან მასთან კომუნიკაცია, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

სკოლა მზადაა, თუ:

- წინასწარ აქვს შეგროვებული ინფორმაცია მომავალი მოსწავლეებისა და მათი ოჯახების შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში, წინასწარ აქვს შემუშავებული დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმები მოსწავლეებისთვის;
- სწავლის დაწყებამდე განხორციელებული აქვს სკოლის გაცნობის ფორმალური და არაფორმალური აქტივობები, რომლებშიც ჩართულნი არიან როგორც მოსწავლეები, ასევე მათი მშობლები;
- სკოლის დაწყებამდე განსაზღვრული აქვს კლასების დაკომპლექტება და მომავალი დამრიგებლები/მასწავლებლები;

და ბოლოს, ბავშვის მზაობა, გარდა სტატიაში განხილული ემოციური და შემეცნებითი მზაობისა, მნიშვნელოვნადაა განპირობებული იმით, თუ რამდენად მკაფიო მოლოდინები აქვს ბავშვს სკოლისგან და რამდენად დეტალურადაა ინფორმირებული სკოლის შესახებ. ბავშვი მზადაა სკოლაში შესასვლელად, თუ სკოლის დაწყებამდე გაეცნო სკოლის, თავისი კლასის გარემოს, მომავალ მასწავლებელს და, შესაბამისად, სკოლაში შესვლის პირველ დღეს მისთვის გარემო არის არა სრულიად უცხო, არამედ მეტ-ნაკლებად ნაცნობი. ბავშვი მზადაა, თუ მისი დღის რეჟიმი და რუტინა სკოლის დაწყებამდე მაქსიმალურად მიმსგავსებულია სკოლის დღის რეჟიმსა და რუტინას; შესაბამისად, მისთვის მარტივია ფიზიკური და კოგნიტური ძალების განაწილება სასწავლო პროცესსა და დასვენების პერიოდებზე. სწორედ ჩამოთვლილი ფაქტორების, სკოლის, ოჯახისა და თავად ბავშვის მზაობა განსაზღვრავს სკოლაში წარმატებული და უმტკივნეულო ტრანზიციის გამოცდილებას. თავის მხრივ, სკოლაში შესვლის პირველადი პოზიტიური შთაბეჭდილებები ბავშვების მომავალი სოციალური, ემოციური და საგანმანათლებლო წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.[6]

შენიშვნები:

[1] ჰოლისტური განვითარება – ბავშვის მრავალმხრივი განვითარების პროცესი, რომლის დროსაც თანაბარმნიშვნელოვნად განიხილება ბავშვის ემოციური, ფიზიკური, ინტელექტუალური, შემოქმედებითი და სოციალური სფეროები.

გამოყენებული წყაროები:

1. S. L., Kagan & Others., Reconsidering Children's Early Development and Learning: Toward Common Views and Vocabulary, National Education Goals Panel, Washington, DC
2. მ. ბაგრატიონი-გრუზინსკი და სხვები., ადრეული ბავშვობა და ტრანზიცია სკოლაში, გზამკვლევი ტრანზიციის პროცესში ჩართული სპეციალისტებისა და ოჯახებისთვის, 2019
3. ვემზადებით სკოლისთვის, გზამკვლევი მშობლებს სკოლაში ბავშვის ლაღი და წარმატებული ტრანზიციისთვის, ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის, 2021
4. Gaynor, A. K. (2015). Development toward School Readiness: A Holistic Model. Journal of Education, 195(3) L.M. Espinosa., The Connections Between Social and Emotional Development and Early Literacy, 2021
5. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები
6. მ. ბაგრატიონი-გრუზინსკი და სხვები., ადრეული ბავშვობა და ტრანზიცია სკოლაში, გზამკვლევი ტრანზიციის პროცესში ჩართული სპეციალისტებისა და ოჯახებისთვის, 2019

სმენის დაქვეითება ბავშვებში — რა უნდა იცოდნენ მშობლებმა და მასწავლებლებმა

მაია წულაძე
ოკუპაციური თერაპევტი, ინკლუზიური და სპეციალური განათლების სპეციალისტი

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ნებისმიერი ხარისხის სმენის დაქვეითება, თუ ის დროულად არ არის იდენტიფიცირებული და ადეკვატური რეაგირების გარეშეა დატოვებული, უფრო საზიანო მეორად ეფექტს ახდენს ბავშვის განვითარებაზე, ვიდრე თავისთავად სმენის დაზიანება.

სმენას უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია ბავშვის ყოველმხრივ განვითარებაში. სმენის საშუალებით ბავშვი ითვისებს ენასა და მეტყველებას, რაც კომუნიკაციის, სწავლის, ბავშვის ხასიათის ფორმირების, ემოციური და სოციალური განვითარების საფუძველს ქმნის. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩატარებული არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ნებისმიერი ხარისხის სმენის დაქვეითება, თუ ის დროულად არ არის იდენტიფიცირებული და ადეკვატური რეაგირების გარეშეა დატოვებული, უფრო საზიანო მეორად ეფექტს ახდენს ბავშვის განვითარებაზე, ვიდრე თავისთავად სმენის დაზიანება.

სმენის დაზიანება

სმენის დაზიანება ვარირებს მსუბუქიდან საკმაოდ მძიმე დაქვეითებამდე. ის შეიძლება გამოხატული იყოს ერთ ან ორივე ყურში, იყოს ნაწილობრივ ან სრულად დაქვეითებული და ადგილი ჰქონდეს სიყრუეს. სიყრუე განისაზღვრება, როგორც სმენის მძიმე დაზიანება, რომლის დროსაც ადამიანს არ შეუძლია სმენის საშუალებით ლინგვისტური/ენობრივი ინფორმაციის დამუშავება, მაშინაც კი, როდესაც სმენის გამაძლიერებელ მოწყობილობას იყენებს.

სმენის დაზიანების ძირითადი პრობლემა ისაა, რომ ის ხელს უშლის ბგერას მიაღწიოს ტვინამდე. შედეგად, იზღუდება ტვინში სმენითი უბნების აქტივაცია, სტიმულაცია და აუდიტორული ნეიროკავშირების დამყარება, რაც ენისა და წიგნიერების განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველია. სმენის დაზიანების გავლენა ენისა და მეტყველების განვითარებაზე ვარირებს იმის მიხედვით, თუ რა ხარისხის და ტიპისაა დაზიანება, როდის მოხდა - ადრეულ ბავშვობაში ენის ათვისების კრიტიკულ პერიოდამდე (2 წლამდე) თუ მოგვიანებით; რამდენად დროულად მოხდა დიაგ-

ზოგიერთი ტიპის სმენის დაზიანება უნიკალურია ბავშვობის პერიოდისთვის. ბავშვობაში სმენის დაზიანების ძირითადი მიზეზები შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან ჩვილობის პერიოდში სხვადასხვა ინფექციის შედეგად შეძენილი (მაგ.: შუა ყურის ქრონიკული ინფექციები, მენინგიტი), რომელთა გავლენითაც ზიანდება ყურის ან სმენის ანალიზატორის სხვა რომელიმე ნაწილი.

ნოსტირება; რამდენად სწორი და დროული იყო ინტერვენცია; რამდენად სტაბილურია მდგომარეობა; აქვს თუ არა ბავშვს, სმენის გარდა, სხვა თანმხლები ჯანმრთელობის ან/და განვითარების პრობლემები.

ზოგიერთი ტიპის სმენის დაზიანება უნიკალურია ბავშვობის პერიოდისთვის. ბავშვობაში სმენის დაზიანების ძირითადი მიზეზები შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან ჩვილობის პერიოდში სხვადასხვა ინფექციის შედეგად შეძენილი (მაგ.: შუა ყურის ქრონიკული ინფექციები, მენინგიტი), რომელთა გავლენითაც ზიანდება ყურის ან სმენის ანალიზატორის სხვა რომელიმე ნაწილი.

მსოფლიოში 34 მილიონ ბავშვს აღენიშნება სიყრუე ან სმენის გარკვეული ხარისხის დაქვეითება. 1000 ახალშობილიდან დაახლოებით 1-2 იბადება თანდაყოლილი სმენის დაზიანებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ აუდიო-ვესტიბულარული სისტემა პირველი სენსორული ორგანოა, რომელიც ემბრიონულად ვითარდება და, შესაბამისად, ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ორგანოა ჩანასახში სინდრომული, არასინდრომული და მიტოქონდრული მდგომარეობების მიმართ, აღნიშნული სტატისტიკა გასაკვირი არ იქნება. ეს რიცხვი, სულ მცირე, ორმაგდება ადრეულ ბავშვობაში შეძენილი სმენის დაზიანებების ხარჯზე. ამრიგად, ბავშვებში სმენის დაზიანების გავრცელებულობა საკმაოდ დიდია თუ შევადარებთ ბავშვობის პერიოდის სხვა დარღვევებს.

აუდიტორული (სმენის) სისტემა

აუდიტორული სისტემა საკმაოდ რთულია თავისი სტრუქტურითა და ფუნქციით. ის ყურიდან იწყება და ტვინამდე მიდის, სადაც ყურიდან შესული ბგერითი ტალღების ინტერპრეტაცია ხდება. შეიძლება ითქვას, რომ ყური ტვინამდე მისასვლელ კარიბჭეს წარმოადგენს. სმენის დაქვეითებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როდესაც ყურის ან აუდიტორული სისტემის რომელიმე ნაწილი არ მუშაობს ჩვეულ რეჟიმში და ბგერას არ შეუძლია მიაღწიოს ტვინამდე, სადაც მისი დამუშავება და ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს.

ყური სამი ძირითადი ნაწილისგან – გარეთა, შუა და შიგნითა ყურისგან შედგება. თითოეულ ნაწილს თავისი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ბგერის ტვინისთვის გადაცემის ჯაჭვში.

გარეთა ყური ხელს უწყობს ბგერების მოკრებას და ხმის წყაროს ლოკალიზებას. გარეთა ყურიდან ბგერები **შუა ყურს** გადაეცემა, სადაც მექანიკური ენერგია წარმოიქმნება და რხევები **შიგნითა ყურთან** მიდის; შიგნითა ყურში სმენის ორგანო, კოხლეაა (ლოკოკინა) განთავსებული, რომელიც სმენის რეცეპტორებს შეიცავს. ლოკოკინაში ბგერითი ტალღები ელექტრონულ (ნერვულ) იმპულსებად გარდაიქმნება და სმენის ნერვის საშუალებით მიემართება

ტვინისკენ შემდგომი დამუშავებისა და მათთვის მნიშვნელობის მინიჭებისთვის.

ამრიგად, ბგერის გატარება გარეთა და შუა ყურის ფუნქციაა, ხოლო ხმოვანი სიგნალის ნერვულ იმპულსად გარდაქმნა – შიგნითა ყურის. ბგერის გავლის ამ ჯაჭვის ნებისმიერ რგოლში წარმოქმნილი პრობლემა საბოლოოდ სმენის ფუნქციაზე აისახება.

სმენის დაზიანების ტიპები:

იმის მიხედვით, თუ ყურის რომელ ნაწილს უკავშირდება დაზიანება, განსხვავდება სმენის დაქვეითების ტიპი, სიმწვავე და პროგნოზი.

სმენის კონდუქტიური, იგივე გამტარობითი დაზიანება განპირობებულია გარეთა და შუა ყურის სტრუქტურებთან და ფუნქციასთან დაკავშირებული პრობლემებით, რაც მექანიკური ენერგიის შიგნითა ყურამდე, ლოკოკინამდე გადაცემის შეფერხებაში აისახება. სმენის კონდუქტიური დაზიანება ბავშვებში ხშირად გარდამავალი მდგომარეობაა და ადვილად ექვემდებარე მკურნალობას თუკი განპირობებული არაა ყურის თანდაყოლილი სტრუქტურული ცვლილებით. თუმცა, საყურადღებოა, რომ თუ ბავშვს ხშირად აქვს ბგერის კონდუქტიური დაქვეითება (მაგ.: განმეორებითი ოტიტის გავლენით), ბავშვს ამ პერიოდებში სათანადოდ არ ესმის მეტყველება და ეზღუდება ენაზე წვდომა, რამაც მცირე ასაკის ბავშვში, თუ ენის განვითარების კრიტიკულ პერიოდში იმყოფება, შესაძლოა ენის ბუნებრივი განვითარება შეაფერხოს.

სმენის სენსორული ან იგივე სენსონევრალური დაზიანება უკავშირდება კოხლეაში (ლოკოკინაში) მექანიკური ენერგიის ნერვულ იმპულსებად გარდაქმნის შეფერხებას, რომლებიც, მერვე კრანიალური ნერვის საშუალებით, ტვინს უნდა გადაეცეს. კოხელარული პროცესის დარღვევა განაპირობებს კოხლეას რეცეპტულ უჯრედებში მგრძნობელობის და დინამიკის დიაპაზონის შემცირებას. სმენის სენსონევრალური დაზიანება საშუალოდან მძიმე/ღრმა დაქვეითებამდე (სიყრუემდე) ვარირებს. სენსონევრალური დაზიანება შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან ადრეულ ბავშვობაში შეძენილი. როგორც წესი, სენსონევრალური დაზიანება მუდმივია, თუმცა, იმის მიხედვით, თუ რა არის მისი გამომწვევი მიზეზი, შესაძლოა აღდგენადიც იყოს. ასევე, მიზეზიდან გამომდინარე, მდგომარეობა შესაძლოა პროგრესირებდეს და დროთა განმავლობაში სმენის უფრო მეტ დაქვეითებას იწვევდეს.

ამასთან ერთად, არსებობს **სმენის ნერვული დაზიანებაც**, რომელიც არა უშუალოდ ყურს, არამედ სმენის ანალიზატორის აუდიტორულ ნერვულ სისტემას უკავშირდება და მოიცავს მერვე კრანიალურ ნერვს და ცენტრალური ნერვული სისტემის სმენით გზებს. სმენის ნერვული დაზიანება განპირობებულია ელექტრული სიგნალის გადაცემის პრობლემით ტვინისთვის და ტვინში შესაბამისი უბნებისთვის და ორ ძირითად ჯგუფად კლასიფიცირდება: რეტროკოხლეარული და აუდიტორული დამუშავების დარღვევა.

სმენის დაზიანების ხარისხები:

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტების თანახმად, ადამიანზე ითქმის, რომ მას აქვს სმენის დაქვეითება, თუ ისევე არ ესმის, როგორც ნორმალური სმენის მქონე ადამიანს, რაც გულისხმობს 20 დბ ან ნაკლებ სმენის ზღურბლს ორივე ყურში. სმენის ზღურბლი ეს არის ბგერის ყველაზე დაბალი ინტენსივობის დაფიქსირების ზღვარი, რომლის ქვემოთაც ადამიანის ყურს არ შეუძლია ბგერის დაფიქსირება. რაც უფრო მაღალია სმენის ზღურბლი, მით უფრო ნაკლებია სმენა და პირიქით. თანამდეროვე კლასიფიკაციის თანახმად, სმენის დაქვეითების რამდენიმე ხარისხს განარჩევენ:

მსუბუქი: 25 დბ – 40 დბ;

საშუალო: 40 დბ – 60 დბ;

მძიმე: 60 დბ – 80 დბ;

უმძიმესი: 80 დბ-ზე მეტი.

ზრდასრულებში, შემზღუდველი გავლენის მქონედ სმენის 40 დბ-ზე მეტი სმენის დაქვეითება განიხილება, ხოლო ბავშვებში – 30 დბ-დან (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია). აღნიშნული განსხვავება განპირობებულია იმით, რომ ბავშებში ჯერ სრულად არ არის ჩამოყალიბებული ენობრივი და კოგნიტური უნარები და, შესაბამისად, აუდიო ინფორმაციის გაგებისა და დამუშავებისთვის ბავშვებს უკეთესი სმენა და სმენითი პირობები სჭირდებათ.

სმენის დაზიანების ნიშნები ბავშვებში:

სმენის მინიმალურ დაქვეითებასაც კი მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენის მოხდენა შეუძლია ბავ-შვის სწავლასა და განვითარებაზე. ხშირად, სმენის შედარებით დაბალი დაქვეითება შეუმჩნეველიც კი რჩება თავად ბავშვისა და მისი გარშემომყოფებისთვის. ამიტომ, რეკომენდებულია, ბავშვის სმენის შემოწმება სპეციალისტის (აუდიოლოგის) მიერ და სკოლაში შეყვანამდე განმეორებით გადამოწმება. ამასთანავე, დღესდღეობით, მოზარდები სმენის დაზიანების შეძენის რისკ ჯგუფად მიიჩნევიან ყურსასმენების ხშირი გამოყენებისა და აუდიო ინფორმაციის დაშვებულზე მაღალ ხმაზე მოსმენის გამო. შესაბამისად, გადამოწმების კრიტიკულ პერიოდად მოზარდობის ასაკიც განიხილება. მშობლებმა და მასწავლებლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვის გარკვეულ ნიშნებს, რომლებიც სმენის დაქვეითებით შეიძლება იყოს განპირობებული:

- აქვს გაურკვეველი მეტყველება
- აქვს ხმის ცუდი ან უცნაური ხარისხი
- ტოვებს ან ანაცვლებს გარკვეულ თანხმოვნებს
- მეტყველების პროდუცირება არ უმჯობესდება ასაკთან ერთად
- ხშირად ამბობს „ჰა?," ითხოვს ინფორმაციის მაღალ ხმაზე ან უფრო ნელა გამეორებას
- უჭირს სიტყვების გაგება, განსაკუთრებით ხმაურიან გარემოში
- არ მიჰყვება, ტოვებს ან ყურადღებას არ აქცევს მითითებებს
- საუბრის მხოლოდ ნაწილი ესმის და ითვლება, რომ უყურადღებოა
- ტელევიზორს ან მუსიკას ძალიან მაღალ ხმაზე უსმენს
- აქვს/ექმნება სწავლის პრობლემები; აკადემიურ მიღწევებში აქვს გაუარესება
- უჭირს ყოველდღიური ხმების მოსმენა
- ვიზუალურ ინფორმაციას უფრო მეტად ეფუძნება, ვიდრე აუდიოს
- მოსმენის უნარი განსხვავდება კონტექსტის მიხედვით: არის ჩუმ თუ ხმაურიან გარემოში, საუბარი არის დაბალ თუ მაღალ ხმაზე

ინტერვენციები სმენის დაზიანების მქონე ბავშვებისთვის:

იმის მიხედვით, თურა ტიპის და ხარისხისაა სმენის დაზიანება და როდის არის ის შეძენილი, განსხვავდება ინტერვენციებიც. დღესდღეობით, ადრეული დიაგნოსტიკა, სმენის გამაძლიერებელი და დამხმარე ტექნოლოგიები, მკურნალობის და ინტერვენციის მიდგომები საკმაოდ კარგად არის განვითარებული და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სმენის დაზიანების მქონე ბავშვების და მათი ოჯახების მდგომარეობას. ჩვენს თანამედროვეობაში, საკმაოდ გაზრდილია სმენის დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენება და ეფექტურობაც, რომელთა მიზანი ტვინამდე მისასვლელი კარიბჭის გახსნა და ბგერის ტვინამდე მიღწევის ხელშეწყობაა.

სმენის დაზიანების მქონე ბავშვის შემთხვევაში, ინტერვენციები შეიძლება მოიცავდეს:

- ბავშვისთვის სმენის დამხმარე მოწყობილობების შერჩევას და გამოყენების ხელშეწყობას (მაგ.: სმენის აპარატი, კოხლეარული იმპლანტი, ხმის გამაძლიერებელი დამხმარე მოწყობილობები ბავშვის ინდივიდუალურ სასმენ აპარატთან ან

კოხლეარულ იმპლანტთან ერთად გამოსაყენებლად);

- სამკურნალო პროცედურებს (მაგ.: ინფექციის, ანთების მკურნალობა);
- სმენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის განვითარებაზე ორიენტირებულ აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროცედურებს (მაგ.: მეტყველებისა და ენის თერაპია, აუდიო-ვერბალური ტრენინგი);
- ოჯახზე ორიენტირებულ ინტერვენციას. თუ გავითვალისწინებით, რომ სმენის დაზიანების მქონე ბავშვების დაახლოებით 95% იბადება სმენის მქონე მშობლების ოჯახებში, ცხადი იქნება, თუ რამდენად დიდი მხარდაჭერა სჭირდებათ მშობლებს მდგომარეობაში გარკვევისა და ბავშვის მხარდაჭერის, მათ შორის, ბავშვთან ეფექტური კომუნიკაციის, სათანადო სტრატეგიების სასწავლებლად.
- ჟესტური ენის სწავლებას. ჟესტური ენა სჭირდებათ ბავშვებს, რომლებსაც არ შეუძლიათ კომუნიკაცია სმენისა და ზეპირი მეტყველების გამოყენებით და რომელთაც სმენა არ აძლევს ლინგვისტური ინფორმაციის გაგების და დამუშავების შესაძლებლობას. იმავდროულად, ჟესტური ენა, როგორც დამხმარე საშუალება, შეიძლება სჭირდებოდეთ კოხლეარული იმპლანტის მქონე და სმენადაქვეითებულ ბავშვებსაც. მნიშვნელოვანია, რომ ჟესტური ენის სწავლება მოხდეს არა მხოლოდ სმენის დაზიანების მქონე ბავშვისთვის, არამედ მისი უახლოესი გარემოცვისთვისაც.

განათლების შესაძლებლობები:

განვითარებულ ქვეყნებში განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობები და განათლების მოდელები არსებობს სმენის დაზიანების მქონე ბავშვებისთვის. რაც შეეხება საქართველოს, დღესდღეობით, ყველა საჯარო სკოლის კარი ღიაა ნებისმიერი საჭიროების მქონე ბავშვისთვის. ამასთანავე, სმენის მძიმე დაქვეითების მქონე ბავშვებისთვის არსებობს

ორი, თბილისის 203-ე და ქუთაისის 45-ე რესურსსკოლა, რომლებშიც სწავლება ძირითადად ჟესტურ ენაზე მიმდინარეობს. გარდა ამისა, თბილისის 64-ე საჯარო სკოლაში სმენის დაზიანების მქონე ბავშვებისთვის ინტეგრირებული კლასი ფუნქციონირებს.

პასუხი კითხვაზე, რომელი სკოლის გარემოში ან რომელი – ზეპირ მეტყველებაზე თუ ჟესტურ ენაზე დაფუძნებული – სწავლაა უმჯობესი სმენის დაზიანების მქონე ბავშვისთვის, მარტივი არაა და მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორისაა, ბავშვის სმენითი და ენობრივი საჭიროებები და საგანმანათლებლო გარემოს რესურსებიც. ამასთანავე, არცერთი გადაწყვეტილება არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც საბოლოო, რადგან ზრდასთან ერთად, შეიძლება შეიცვალოს ბავშვის შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

მიუხედავად იმისა, თუ რომელ საგანმანათლებლო გარემოში ისწავლის სმენის დაზიანების მქონე ბავშვი, მთავარია, მას სათანადო წვდომა ჰქონდეს გარშემომყოფებთან და თანატოლებთან კომუნიკაციაზე, თამაშსა და გართობაზე, სწავლაზე და უფროსების მხარდაჭერაზე, რათა თავისი შესაძლებლობების მაქსიმალურად რეალიზება და ბედნიერი და წარმატებული მომავლის შექმნა შეძლოს.

მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემა

შოთა ზურაბიშვილი

ფსიქოლოგი, განათლებისა და საერთაშორისო განვითარების სპეციალისტი, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

ბოლო წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა ინკლუზიურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით, თუმცა მოსწავლეების მრავალფეროვან საჭიროებებზე მორგებული მაღალი ხარისხის სწავლა-სწავლების პრაქტიკების დანერგვა კვლავ გამოწვევად რჩება. მასწავლებლები მრავალ დაბრკოლებას აწყდებიან მოსწავლეების სასწავლო, ქცევითი თუ სოციალურ-ემოციური სირთულეების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების დროს. სადავო არ არის, რომ არსებული ცოდნა და რესურსები არ არის საკმარისი ყველა მოსწავლისთვის მაღალი ხარისხის განათლების უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულ გამოწვევაზე საპასუხოდ, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს 15 საპილოტე სკოლაში დაიწყო მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის დანერგვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემა არის სწავლებისა და ინტერვენციების ჩარჩო, რომელიც შექმნილია ყველა მოსწავლის აკადემიური, ქცევითი და სოციალურ-ემოციური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემა პროაქტიული მიდგომაა, რომელიც მასწავლებელს ეხმარება, გამოიყენოს აკადემიური და ქცევითი სტრატეგიები სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან.

მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემა სამი შრისგან შედგება:

პირველი, უნივერსალური შრე ყველაზე ფართო შრეა და წარმოადგენს ჩარჩოს საფუძველს. ამ შრეზე თავს იყრის უნივერსალური, პრევენციული და პროაქტიული ინტერვენციები, რომლებიც ყველა მოსწავლეზეა ორიენტირებული. პირველი შრის სტრატეგიები თუ ინტერვენციები ქმნის პოზიტიურ ატმოსფეროს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობებისთვის და მხარდამჭერ, მასტიმულირებელ გარემოს სწავლისთვის. პირველი შრის მიდგომა საჭიროა ყველა მოსწავლისთვის, თუმცა ყველა მათგანისთვის საკმარისი არ არის. მოსწავლეების მცირე რაოდენობას, რომელიც ვერ აჩვენებს პროგრესს პირველი შრის ინტერვენციებზე, სჭირდება მიზანმიმართული, ანუ მეორე შრის ინტერვენციები.

მეორე, მიზნობრივი შრე მიმართულია იმ მოსწავლეებზე, რომლებისთვისაც საკმარისი არ არის

პირველი შრის მხარდაჭერა. აღნიშნული საფეხური გულისხმობს მცირე ჯგუფებში მუშაობას, დამატებით ინტერვენციებს, რესურსებსა და მხარდაჭერას მოსწავლეთა სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და დასახული მიზნების მისაღწევად.

მესამე, ინტენსიურ შრეზე ხორციელდება ინტენსიური, ინდივიდუალიზებული ინტერვენციები იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც, პირველი და მეორე შრის ინტერვენციების მიუხედავად, პროგრესის სასურველი მაჩვენებელი არ აქვთ. მესამე შრის ინტერვენციები, როგორც წესი, უფრო ხშირი და პერსონალიზებულია. შეფასებით, მასწავლებელს შეუძლია დროულად დაადგინოს თუ რომელ მოსწავლეს რა სფეროში აქვს დამატებითი მხარდაჭერის საჭიროება.

მრავალდონიანი პრევენციული მიდგომა. გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით, მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას თუ რომელ მოსწავლეს სჭირდება დამატებითი და ინტენსიური მხარდამჭერი ინტერვენციები.

მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები. მასწავლებელი აფასებს არა მხოლოდ მოსწავლეების პროგრესს, არამედ საკუთარი ინტერვენციების



მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის პრაქტიკაში გამოყენება რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპის გათვალისწინებასა და რეალიზებას გულისხმობს.

სკრინინგი. მასწავლებლებისთვის, ხშირ შემთხვევაში, რთულია თითოეული მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, ნეიროფსიქოლოგიური, სოციალური და ემოციური საჭიროებების დადგენა. შესაბამისად, მათ სჭირდებათ სტრატეგიები და ინსტრუმენტები, რომლებიც ამ საჭიროებების ადრეულ იდენტიფიცირებაში დაეხმარებათ.

პროგრესის მონიტორინგი. თითოეული მოსწავლის სწავლაში წინსვლის ხშირი, რეგულარული ეფექტურობასაც და, შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებებს, რისი კეთება გააგრძელოს, შეწყვიტოს ან დაიწყოს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელო პრინციპებისა, გასათვალისწინებელია, რომ მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის წარმატებით დასანერგად მნიშვნელოვანია ოჯახებთან თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბება, კოლეგების ერთობლივი ძალისხმევა, მათთვის პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი შესაძლებლობების შექმნა და როგორც სისტემური, ასევე ადმინისტრაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფა.



განსხვავება მრავალშრიან მხარდამჭერ სისტემას (MTSS) და ინტერვენციაზე რეაგირებას (RTI) შორის

პირამიდული მოდელების გამოყენება საგანმანათლებლო სივრცეში მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემით არ დაწყებულა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ცნობილია განსხვავებული პირამიდული ჩარჩოები, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინტერვენციაზე რეაგირებაა (RTI—Response to Intervention). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოდელი ისევე, როგორც MTSS, ორიენტირებულია პროაქტიულ ინტერვენციასა და მხარდაჭერაზე, მრავალშრიან მხარდამჭერ სისტემას (MTSS) უფრო ფართო მასშტაბი აქვს. ინტერვენციაზე რეაგირებაში (RTI) მეტწილად აქცენტირებულია აკადამიური უნარების განვითარება, ხოლო მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემა მოიცავს როგორც აკადემიურ, ასევე არააკადემიურ (ქცევით, სოციალურ-ემოციურ) მხარდაჭერას. MTSS აერთიანებს როგორც ინტერვენციაზე რეაგირების (RTI), ასევე პოზიტიური ქცევის ინტერვენციებისა და მხარდაჭერის (PBIS) კომპონენტებს მხარდაჭერის ყოვლისმომცველ სისტემაში.

მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის ჩარჩო საქართველოს კონტექსტში

2022-2023 აკადემიური წლის გამოცდილებასა და საერთაშორისო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შემუშავდა მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის პირველი შრის პროგრამა, რომლის დანერგვაც საპილოტე სკოლებში 2023 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტები, როგორებიცაა ავტორიზაციის სტანდარტები, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და განათლების სამინისტროს სტრატეგია 2022-2030.

MTSS შრე 1 — კომპონენტები	ავტორიზაციის სტანდარტები	განათლების სამინისტროს სტრატეგია 2022-2030	მასწავლებლის პროფესიული სტანდარტები
კომპონენტი 1.1. ბავშვებთან კავშირის დამყარება	**კრიტერიუმი 4.2.1.** სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება	**ამოცანა 2.2.2.** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და ხარისხიანი სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა თითოეული მოსწავლისთვის	**მუხლი 4.** პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა და კლასის მართვა
კომპონენტი 1.2. ოჯახებთან თანამშრომლობა	**კრიტერიუმი 3.6.3.** სკოლა მიზნობრივად წარმართავს სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობას	**ამოცანა 1.2.3.** მშობლების/წარმომადგენლების ჩართულობის გაზრდა სასკოლო ცხოვრებასა და სწავლა-სწავლების პროცესში	**მუხლი 10.** სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და ეფექტური კომუნიკაცია

MTSS შრე 1 – კომპონენტები	პუბლიკაციის სტანდარტები	განათლების სამინისტროს სტრატეგია 2022-2030	მასწავლებლის პროფესიული სტანდარტები
კომპონენტი 1.3. კოლეგებს შორის თანამშრომლობა	**კრიტერიუმი 3.2.1.** ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე	**ამოცანა 1.2.1.** მასწავლებლებისა და დირექტორების კვალიფიკაციის ამაღლება და საჭიროებებზე დაფუძნებული უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა **ამოცანა 2.2.1.** სპეციალური მასწავლებლებისა და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ინკლუზიური სწავლების კომპეტენციების განვითარება	**მუხლი 10.** სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა და ეფექტური კომუნიკაცია
კომპონენტი 1.4. საყოველთაო სკრინინგი	**კრიტერიუმი 4.2.1.** სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება	**ამოცანა 1.2.2.** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა-სწავლებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და თანამედროვე მრავალფეროვანი რესურსებით უზრუნველყოფა	**მუხლი 5.** სასწავლო პროცესის დაგეგმვა
კომპონენტი 1.5. მაღალი ხარისხის სწავლება	**კრიტერიუმი 2.1.2.** კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებისა და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს	**მიზანი 1.2.** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში თითოეული მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი, მაღალ მისაღწევ შედეგებზე და მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა	**მუხლი 13.** დამატებითი მოთხოვნები და კომპეტენციები წამყვანი და მენტორი მასწავლებლისთვის
კომპონენტი 1.6. მოსწავლეთა შეფასება	**კრიტერიუმი 2.2.2.** სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს	**მიზანი 1.2.** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში თითოეული მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი, მაღალ მისაღწევ შედეგებზე და მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა	**მუხლი 8.** მოსწავლეთა შეფასება
კომპონენტი 1.7. კლასის მართვა	**კრიტერიუმი 2.2.3.** სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას	**მიზანი 2.1.** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში თითოეული მოსწავლისათვის ხელმისაწვდომი, მაღალ მისაღწევ შედეგებზე და მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა	**მუხლი 4.** პოზიტიური, უსაფრთხო, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა და კლასის მართვა

მრავალშრიანი მხარდაჭერის სისტემის პირველი შრე

განვიხილოთ თუ რას მოიცავს პირველი შრის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც დღეისათვის, პილოტირების რეჟიმში, საქართველოს 15 სკოლაში ინერგება.

1) კავშირის დამყარება ბავშვებთან აღწერს იმ სტრატეგიებისა და მეთოდების ერთობლიობას,

რომელიც მასწავლებელს დაეხმარება ბავშვებთან გულისხმიერი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში; **2) ოჯახებთან თანამშრომლობა** მოიაზრებს ოჯახებთან ურთიერთობის მრავალფეროვან და შედეგზე ორიენტირებულ მეთოდებსა და საშუალებებს; **3) კოლეგებს შორის თანამშრომლობა** ეთმობა მასწავლებლებს შორის თანამშრომლობის იმ მოდელებს, რომლებიც მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის წარმატებით დანერგვას შეუწყობს ხელს; **4) საყოველთაო სკრინინგი** პირველი შრის მნიშვნელოვანი კომპონენტია. პროგრამაში შემუშავებული სკრინინგ კითხვარი მასწავლებლებს დაეხმარება მოსწავლეების სასწავლო საჭიროებების ადრეულ დადგენასა და შემდგომ რეაგირებაში; **5) მაღალი ხარისხის გაკვეთილები** მოიცავს მრავალფეროვანი გაკვეთლების ჩატარების გზებს მრავალფეროვანი მოსწავლეების კონტექსტში; **6) მოსწავლეთა შეფასება** წარმოადგენს მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის პირველი შრის ასევე მნიშვნელოვან კომპონენტს, სადაც მასწავლებლები ეცნობიან დაწყებით საფეხურზე სწავლის შეფასების მეთოდებს და ამ მეთოდების ადაპტირების გზებს განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან; **7) კლასის მართვა** წარმოადგენს კომპონენტს, რომელიც მასწავლებელს ეხმარება საკლასო მოლოდინების, საკლასო გარემოს ორგანიზებისა და სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებთან ეფექტური მუშაობის სტრატეგიების გამოყენებაში.

სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარების მნიშვნელობა პირველ შრეზე

მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის ჩარჩო მოსწავლეების აკადემიურ პროგრესზე ორიენტირებული შრეობრივი ინტერვენციების პარალელურად მოსწავლეთა სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებაზე ზრუნვას გულისხმობს. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური და ემოციური სწავლა MTSS-ის დანერგვის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებშიც, უნივერსალური შრის დანერგვა წარმოუდგენელი იქნებოდა სოციალური და ემოციური კომპეტენციების მხარდამჭერი მიდგომების სწავლა-სწავლებაში ინტეგრირების გარეშე. პროექტის ფარგლებში შემუშავდა სახელმძღვანელო, რომელიც აღწერს მოსწავლეთა სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარების 4 მიდგომას.

მიდგომა	მანეპასრციელებელი
სწავლა-სწავლების ზოგად პრაქტიკაში ინტეგრირება	კლასის დამრიგებელი, კლასის საგნის მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი
საგნის კურიკულუმში ინტეგრირება	საგნის მასწავლებლები, კათედრების წარმომადგენლები
სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებსა და ორგანიზაციულ სტრუქტურაში ინტეგრირება	სკოლის ადმინისტრაცია, საგნის პედაგოგები, მშობლები / კანონიერი წარმომადგენლები
დამოუკიდებელი გაკვეთილები	კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებელი, ფსიქოლოგი, სპეციალური მასწავლებელი

აღსანიშნავია, რომ მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის დანერგვის ფარგლებში სკოლებისთვის შეთავაზებულია ოთხივე მიდგომის გამოყენებისთვის საჭირო რესურსი, თუმცა ჩვენი ფოკუსი უპირატესად პირველ მიდგომაზე—სოციალური და ემოციური კომპეტენციების სწავლა-სწავლების ზოგად პრაქტიკაში ინტეგრირებაზე მიემართება.

არსებობს სოციალური და ემოციური კომპეტენციების განსხვავებული ხედვები და ჩარჩოები. USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის დანერგვისას, ვეყრდნობით ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ კასელის (CASEL) 5 კომპეტენციას. აღნიშნული ჩარჩო საინტერესოა იმითაც, რომ მასში წარმოდგენილი კომპეტენციები ერგება სხვადასხვა ასაკსა და კონტექსტს. ეს კომპეტენციებია:

თვითცნობიერება — საკუთარი ემოციების, ფიქრების, ღირებულებებისა და შესაძლებლობების გაცნობიერება და ქცევაზე მათი გავლენის პროცესის გააზრება.

თვითრეგულაცია—საკუთარი ემოციების, ფიქრებისა და ქცევის მართვა განსხვავებულ სიტუაციებში.

სოციალური ცნობიერება — სხვისი პერსპექტივების გაგება და განსხვავებული კულტურის, კონტექსტის, გამოცდილების მქონე ადამიანებისადმი თანაგრძნობა.

ურთიერთობები — ჯანსაღი და მხარდამჭერი ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება, მრავალფეროვან ინდივიდებთან და ჯგუფებთან ეფექტიანი ნავიგაცია.

საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება— კონსტრუქციული და მზრუნველი გადაწყვეტილების მიღება როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე სოციალურ ინტერაქციაში.

მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის მეორე და მესამე შრეები

2023-2024 აკადემიური წლის გამოცდილებაზე დაყრდნობით იგეგმება მეორე და მესამე შრეების

მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის ჩარჩო მოსწავლეების აკადემიურ პროგრესზე ორიენტირებული შრეობრივი ინტერვენციების პარალელურად მოსწავლეთა სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებაზე ზრუნვას გულისხმობს. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური და ემოციური სწავლა MTSS-ის დანერგვის განუყოფელი ნაწილია. შესაბამისად, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებშიც, უნივერსალური შრის დანერგვა წარმოუდგენელი იქნებოდა სოციალური და ემოციური კომპეტენციების მხარდამჭერი მიდგომების სწავლა-სწავლებაში ინტეგრირების გარეშე.

პროგრამის შემუშავება, რომელიც საპილოტე სკოლებში 2024 წლის სექტემბრიდან დაინერგება. მრავალშრიანი მხარდამჭერი სისტემის პილოტირება 2024—2025 აკადემიური წლის ბოლოს სრულდება, რის შემდეგაც მოდელის დანერგვა სისტემურად, დანარჩენ საჯარო სკოლებში იგეგმება მთელი საქართველოს მასშტაბით.

გამოყენებული წყაროები:

1. Center on Multi-Tiered System of Supports. www.mtss4success.org.
2. CASEL'S SEL FRAMEWORK: What Are the Core Competence Areas and Where Are They Promoted? www.casel.org.
3. სოციალური და ემოციური განვითარება დაწყებით საფეხურზე. USAID საბაზისო განათლების პროგრამა. 2023.
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, დანართი N5.
5. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგია 2022-2030.
6. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.

თინიკო ჭინჭარაული
კლინიკური ნეიროფსიქოლოგი, ქცევის ანალიტიკოსი, პროფესორი

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთა სწავლების საუკეთესო სტრატეგიები

აუტიზმის სპექტრი, ხშირ შემთხვევაში, უნდა გამოვიყენოთ ქოლგა ტერმინის სახით, რომელიც ძალიან განსხვავებული უნარ-ჩვევების, პიროვნული მახასიათებლებისა და საჭიროებების მქონე ბავშვებსა და ზრდასრულებს აერთიანებს. როგორც ტიპური განვითარების მქონე ადამიანების შემთხვევაში ვიცით, რომ თითოეული ადამიანი უნიკალურია, იგივე კანონზომიერება მუშაობს აუტიზმის სპექტრის შემთხვევაშიც.

თუ აუტიზმის სპექტრის აშლილობას განვსაზღვრავთ როგორც ნეიროგანვითარების დარღვევას, რომელიც აერთიანებს სოციალურ-კომუნიკაციური უნარების განვითარების თავისებურებებს და განმეორებად, სტერეოტიპულ მოქმედებებსა და შეზღუდულ ინტერესებს, ცხადი ხდება, რომ სკოლაში აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეს შესაძლოა ჰქონდეს როგორც სწავლის, ასევე ქცევისა და თანატოლებთან, მასწავლებლებთან ურთიერთობის სირთულეები. აქვე აუცილებელია იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ მოცემული მდგომარეობის მქონე ბავშვების შემეცნებითი და ენობრივი უნარებიც ძალიან განსხვავებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ აუტიზმის მქონე მოსწავლის სწავლებასთან და სკოლაში ადაპტაცია-ინტეგრაციასთან დაკავშირებით ხშირად საჭირო ხდება მულტიდისციპლინური მიდგომის გამოყენება. პირველი და, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოვანესი ეტაპი ბავშვის სკოლასთან ადაპტაციაა.

როგორც ნებისმიერი ბავშვისთვის, აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლისთვისაც სკოლაში წასვლა (იქნება ეს პირველი კლასი თუ შემდეგ საზაფხულო არდადეგებიდან ისევ სკოლაში დაბრუნება) ყოველდღიური ცხოვრების რუტინის მრავალმხრივ ცვლილებას განაპირობებს. კვლევები მოწმობს, რომ აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებს მეტი სირთულე აქვთ სასკოლო მზაობისა და სკოლასთან ადაპტაციის თვალსაზრისით, ტიპური განვითარების თანატოლებთან შედარებით (Marsh და სხვ., 2017). წინასწარი მომზადება სკოლასთან ადაპტაციისთვის და შემდგომში ქცევის მართვა, ქცევითი მხარდაჭერა აუმჯობესებს ადაპტაციის პროცესს და მოსწავლის წარმატების (იქნება ეს აკადემიური თუ სოციალურ-ემოციური) შესაძლებლობებს ქმნის (მელაძე, 2021). წინასწარი მომზადების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია მოსწავლისა და სკოლის ურთიერთგაცნობის დაგეგმვა სწავლის დაწყებამდე რამდენიმე

თვით ადრე. ეს პროცესი ყველა მონაწილე მხარის აქტიურ ჩართულობას მოითხოვს – ოჯახის, ბავშვის, სკოლის გარე დამხმარე სპეციალისტების, ასეთების არსებობის შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაციის, კლასის დამრიგებლის, სპეციალური მასწავლებლის, სკოლის ფსიქოლოგის, სკოლის დაცვისა და დამლაგებლების ჩათვლით. სასკოლო გარემოს გაცნობა, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს, რათა შედეგად, სწავლის დაწყების მომენტისთვის, ბავშვისთვის სკოლის გარემო (იქნება ეს ფიზიკური თუ სოციალური) ნაცნობი და უსაფრთხო იყოს. ასევე გასათვალისწინებელია, აუტიზმის მქონე ბავშვებისთვის ხშირად დამახასიათებელი სენსორული გამღიზიანებლებისადმი (შეგრძნების სხვადასხვა არხით მიღებული სტიმულებისადმი) განსხვავებული მგრძობელობა, რაც ქცევასთან დაკავშირებული სირთულის წინაპირობა შეიძლება გახდეს. სკოლამ უნდა დასვას კითხვები ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებთან დაკავშირებით, ხოლო ოჯახმა მოთხოვნილი ინფორმაცია დროულად უნდა მიაწოდოს მას. ეს სკოლას დაეხმარება, მაქსიმალურად მომზადებული დახვდეს მოსწავლეს. მაგალითად, მოსწავლის სენსორული საჭიროებების გათვალისწინებით, ის შექმნის სენსორულად მეგობრულ გარემოს, რომლის გამოყენებაც აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეს თვით-დამშვიდებაში და ემოციების რეგულირებაში დაეხმარება.



კვლევები ადასტურებს, რომ გარემოში ვიზუალური მიმანიშნებლების (განრიგი, სივრცეში ორიენტაციისთვის შესაბამისი სიმბოლოები, ინსტრუქციებისა და დავალებების ნახატების სახით მიწოდება და ა.შ.) გამოყენება აუმჯობესებს აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეთა კლასში ჩართულობას და ხელს უწყობს კომუნიკაციას. წინასწარგანსაზღვრული დღის განრიგი ხშირად შფოთვის შემცირებას უწყობს ხელს, აქტივობების წინასწარმეტყველების შესაძლებლობიდან გამომდინარე (Gerhardt & Cohen, 2014).

სტრუქტურირებული სწავლების მოდელის (მაგ.: TEACCH) გამოყენებით, შესაძლებელია აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის დიდი დავალებები დაიყოს მცირე, დაძლევად დავალებათა თანმიმდევრობად (Mesibov, Shea, & Schopler, 2005). სტრუქტურირებული სწავლების პროცესში ვიზუალური და ორგანიზაციული მიმანიშნებლების გამოყენება ეხმარება მოსწავლეს კლასში მიმდინარე აქტივობების გაგებასა და თანამონაწილეობაში.

სტერეოტიპებისა და შეზღუდული ინტერესების გათვალისწინება სწავლების პროცესში ხელს უწყობს აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეთა როგორც აკადემიურ, ისე სოციალურ აქტივობებში ჩართვას. კერძოდ, თუ ითვლებოდა, რომ მნიშვნელოვანია აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლის განმეორებადი და შეზღუდული ინტერესების იგნორირება, რათა მათი ჩაქრობა მოხდეს და ინტერესები გამრავალფეროვნდეს, ბოლო წლების კვლევები ადასტურებს, რომ სწორედ ეს ინტერესები შეიძლება გახდეს ხიდი ორმხრივი კომუნიკაციისთვის (Gunn & Delafield-Butt, 2016).

თანატოლების ჩართვა სოციალური უნარების სწავლების პროცესში ეფექტური აღმოჩნდა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების სოციალური უნარების განვითარებისა და ხელისშემშლელი ქცევების შემცირებისთვის (Goldstein და სხვ., 1992).

ქცევის პოზიტიური მხარდაჭერისა და განმტკიცების სისტემის გათვალისწინება ყოველდღიურ სასწავლო პროცესში, ასევე ძლიერ იარაღს წარმოადგენს აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეთა სწავლებისა და ქცევის მართვისთვის (Maki და სხვ., 2022).

თანამშრომლობა და გახსნილი კომუნიკაცია აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეს, მის ოჯახს, პროფესიონალებსა და სკოლის წარმომადგენლებს შორის სასკოლო წარმატების მყარ საფუძველს ქმნის. ყველა ზემოაღნიშნული სტრატეგია ერთიანდება მოსწავლის ინდივიდუალური მახასიათებლებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შედგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში. სწორედ ამ გეგმის სწორი და თანმიმდევრული განხორციელებით ხდება შესაძლებელი ბავშვის სოციალური და აკადემიური განვითარების მიღწევა სასკოლო სივრცეში.

მაგროყენებული წყაროები:

1. მელაძე, ს. (2021) „როგორ მოვემზადოთ სკოლისთვის“ – სკოლაში ტრანზიციის პროცესი. ინტერნეტ-ჟურნალი „მასწავლებელი“, https://mastsavlebeli.ge/?p=30483
2. Gerhardt, P., Cohen, M. (2014) Visual supports for people with autism: a guide for parents and professionals. Woodbine House
3. Goldstein, H., Kaczmarek, L., Pennington, R., & Shafer, K. (1992). Peer-mediated intervention: attending to, commenting on, and acknowledging the behavior of preschoolers with autism. Journal of applied behavior analysis, 25(2), 289–305. https://doi.org/10.1901/jaba.1992.25-289
4. Gunn, K. C. M., & Delafield-Butt, J. T. (2016). Teaching Children With Autism Spectrum Disorder With Restricted Interests: A Review of Evidence for Best Practice. Review of Educational Research, 86(2), 408–430. https://doi.org/10.3102/0034654315604027
5. Maki, E., Shaw, S., Putnam, R., Harrington, E., Schrieber, S. (August 2022). Supporting Students with Autism Spectrum Disorders Through School-Wide Positive Behavior Interventions and Supports. Center on PBIS, University of Oregon. www.pbis.org
6. Marsh, A., Spagnol, V., Grove, R., & Eapen, V. (2017). Transition to school for children with autism spectrum disorder: A systematic review. World journal of psychiatry, 7(3), 184–196. https://doi.org/10.5498/wjp.v7.i3.184
7. Mesibov, G. B., Shea, V., & Schopler, E. (2005). The TEACCH approach to autism spectrum disorders.Springer Science + Business Media

კლასის ეფექტური მართვის სტრატეგიები



ნინო ნიკოლეიშვილი
განათლების ფსიქოლოგი, „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის კოორდინატორი

ინკლუზიური განათლება, იგივე განათლება ყველასათვის, გულისხმობს სკოლაში თითოეული მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აკადემიური, სოციალური გარემოს შექმნასა და მოსწავლეებისთვის თანაბარი განათლების მიწოდების უზრუნველყოფას. ინკლუზიური განათლების დანერგვის კომპლექსურ პროცესში მასწავლებელთა საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს მათ მიერ კლასის ეფექტური მართვის შესაძლებლობა წარმოადგენს.

სკოლა თითოეული ბავშვისა და მოზარდის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი „სოციალური აგენტია“; იგულისხმება, რომ, სწორედ სკოლის სივრცეში იწყებენ ბავშვები სოციალური ნორმების გაცნობას, საზოგადო წესების მიღებას, გათავისებასა და დაცვას. კლასის მართვის რეკომენდებული მეთოდების გამოყენება მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, ხელი შეუწყონ მოსწავლეთა სოციალური და ემოციური უნარების განვითარებას და, იმავდროულად, შექმნან ისეთი აკადემიური გარემო, რომელშიც თითოეული მოსწავლე თავს იგრძნობს დაფასებულად, უსაფრთხოდ და ღირებულად.

„შეუძლებელია, სწავლისა და სწავლების დონე ეფექტური იყოს კლასში, რომელსაც მასწავლებელი

“შეუძლებელია, სწავლისა და სწავლების დონე ეფექტური იყოს კლასში, რომელსაც მასწავლებელი არ მართავს; რომელშიც მოსწავლეები უწესრიგოდ და უპატივცემულოდ იქცევიან და რომელშიც მათ ქცევას კონკრეტული წესები არ აწესრიგებს; კლასში ქაოსია, ქაოსურ სიტუაციაში მოსწავლეებიც ზარალდებიან და მასწავლებელიც “ (მარზანო 2009).

არ მართავს; რომელშიც მოსწავლეები უწესრიგოდ და უპატივცემულოდ იქცევიან და რომელშიც მათ ქცევას კონკრეტული წესები არ აწესრიგებს; კლასში ქაოსია, ქაოსურ სიტუაციაში მოსწავლეებიც ზარალდებიან და მასწავლებელიც “ (მარზანო 2009).

მოცემული დაკვირვების გაზიარებით იწყება კვლევებზე დაფუძნებული მეთოდებით შემუშავებული სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის – „კლასის მართვა“, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ეფექტური მასწავლებლის ძირითადი ფუნქციები რამდენიმე ძირითად მიმართულებად შეგვიძლია დავყოთ: სწავლების მეთოდების სწორად შერჩევა და გამოყენება; 2) სასწავლო კურიკულუმის მორგება მოსწავლეთა საჭიროებებზე; 3) კლასის მართვის მეთოდების ეფექ-

ტური გამოყენება. ამავე სახელმძღვანელოში, კვლევების მონაცემებით საბუთდება, რომ მასწავლებლის მიერ კლასისა და სასწავლო პროცესის ეფექტური მართვის უნარი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე (მარზანო 2009).

გასათვალისწინებელია, რომ კლასის ეფექტური მართვა წარმოადგენს მოსწავლეთა სოციალურად მიუღებელი ქცევებით გამოწვეული პრობლემებისა და საკლასო გარემოში წარმოშობილი ბარიერების პრევენციას. მოსწავლეები, რომლებიც სკოლის სივრცეში პოზიტიურ სოციალურ ქცევებს ვერ ითვისებენ დაწყებით კლასებში, მეტი ალბათობით, განაგრძობენ არასასურველი ქცევების გამოვლენას მოზრდილობის პერიოდშიც. შესაბამისად, კლასის მართვის სტრატეგიების გამოყენებაზე ზრუნვა აუცილებლად დაწყებითი კლასებიდან უნდა დავიწყოთ.

პროცედურების ჩამოყალიბება და მათი დანერგვა. წესების არსებობა კლასში ქმნის სტრუქტურას, რომელიც ხაზს უსვამს უსაფრთხოებასა და პროგნოზირებადობას. საკლასო წესები ასახავს იმ ზოგად მოლოდინებსა და მისაღებ ქცევებს, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა გამოავლინონ და შეასრულონ. თავის მხრივ კი, თითოეული წესი მოიცავს განსხვავებულ ქცევათა ერთობლიობას და წარმოადგენს იმ საფეხურეობრივ ჯაჭვს, რომელიც მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ, რათა წარმატებით შეძლონ წესის აღსრულება. მაგალითად :

„იყავი მზად გაკვეთილისთვის!"—ზოგადი საკლასო წესია, რომელიც შედგება პროცედურებისგან ანუ ნაბიჯების ჯაჭვისგან.

იმისათვის, რომ მოსწავლემ წესის დაცვა შეძლოს, მან უნდა შეასრულოს შემდეგი დავალებები: **1. მოამზადე კალამი 2. გადაშალე რვეული, რათა შეძლო ჩაწერა 3. მოამზადე სახელმძღვანელო.**

ბუნებრივია, საკლასო წესები იცვლება მოსწავლეთა ზრდასა და განვითარებასთან ერთად. შესაბამისად, საკლასო წესები განსხვავებულია სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებისათვის. წესებისა და პროცედურების გეგმიურ სწავლებას დაწყებით კლასებში შესაძლოა დასჭირდეს ერთ თვემდე პერიოდიც კი, თუმცა, სწორედ დაწყებით კლასებში წესებისა და პროცედურების წარმატებით დანერგვა განაპირობებს იმას, თუ რამდენად შეძლებენ მოსწავლეები მომავალში სოციალურად მისაღები ნორმების დაცვას სკოლაში. აქედან გამომდინარე, წესების სწავლებისთვის ხანგრძლივი პერიოდის დათმობა, თითოეული მასწავლებლის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს.

წესების ეფექტური სწავლებისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებთან წესებისა და პროცედურების შეთანხმებას. მოსწავლეებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ წესებისა და პროცედურების შემუშავების პროცესში. შედეგად, ისინი უფრო მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობენ და მეტი მონდომებით დაიცავენ ამ წესებს.

კლასის წესების ფორმულირება მოსწავლეებისთვის გასაგები ენითა თუ ფორმით უნდა მოხდეს. ისინი გამოკრული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას და უმჯობესია, ტექსტთან ერთად წარმოდგენილი იყოს ვიზუალური მიმანიშნებლებიც. წესების რაოდენობა მცირე უნდა იყოს, რათა მოსწავლეებმა შეძლონ მათი დამახსოვრება. ამასთანავე, აუცილებელია თითოეული წესი იყოს შესრულებადი, ასევე, მოსწავლეთა ასაკის, განვითარებისა და კლასის საჭიროების შესაბამისი.

რეკომენდებულია წესების ფორმულირება მოახდინოთ პოზიტიური ფორმით. წესი მოსწავლეებს უნდა მიუთითებდეს მოსალოდნელ სასურველ ქცევა-

ზე და არა და იმაზე, თუ რისი გაკეთება არ შეიძლება. მაგალითად, ნაცვლად მითითებისა – *„არ იყვიროთ კლასში“*, წესი უნდა იყოს ფორმულირებული შემდეგნაირად: *„დაიცავით სიწყნარე“*.

როგორც აღინიშნა, წესების სწავლებას სისტემატური მიდგომა, დრო და ძალისხმევა სჭირდება როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეთა მხრიდან. ამ ხანგრძლივ პროცესში აუცილებელია, მასწავლებელმა მუდმივად შეახსენოს წესები მოსწავლეებს და წაახალისოს მათი მხრიდან თითოეული წესისა თუ პროცედურის შესრულება. ამისათვის მან უნდა გამოიყენოს პოზიტიური განმტკიცების ტექნიკა, მათ შორის, სიტყვიერი შექება, ჯილდოები და მოსწავლეთა ძალისხმევის აღიარება, რათა გაზარდოს მოსწავლეების მოტივაცია. გაითვალისწინეთ, რომ წესების დანერგვის დასაწყისში მოსწავლეებს დასჭირდებათ მუდმივი მხარდაჭერა და მოდელირებით დახმარება მასწავლებლის მხრიდან. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა აღმოაჩინოს, კონკრეტულად რომელი ნაბიჯის შესრულება უჭირს მოსწავლეს წესის საბოლოო შესრულებისთვის და უზრუნველყოს მისი მხარდაჭერა.

შემდეგი მნიშვნელოვანი კომპონენტი კლასის ეფექტური მართვისათვის, საკლასო გარემოს ორგანიზებაა. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, თითოეული მოსწავლე ხედავდეს მასწავლებელს ინსტრუქციის გაცემის ან სასწავლო მასალის გადმოცემის დროს; შესაბამისად, სასურველია, სანამ მასწავლებელი საგაკვეთილო პროცესს დაიწყებს, გადაამოწმოს, ჩანს თუ არა თითოეული მოსწავლის ადგილიდან მასწავლებლის ძირითადი სამუშაო არე. ასევე, თავად მასწავლებელი კარგად უნდა ხედავდეს კლასის მთლიან სამუშაო არეალს, რათა შეძლებისდაგვარად სწრაფად დაინახოს მოსწავლეები, რომლებსაც სჭირდებათ დახმარება აქტივობის შესრულებისას. იმისათვის, რომ მასწავლებელმა სასწავლო პროცესის უწყვეტობა შეინარჩუნოს, მას უნდა შეეძლოს შეუფერხებლად მისვლა ყველა იმ მოსწავლესთან, რომელსაც დახმარება ან წესის შეხსენება ესაჭიროება. შესაბამისად, მერხები კლასში ისე უნდა იყოს განლაგებული, რომ მასწავლებელმა მუდმივად შეძლოს მერხებს შორის თავისუფლად მოძრაობა და მოსწავლეებზე დაკვირვება.

მნიშვნელოვანია, სწავლებისთვის გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც აკადემიურ მიზნებთან ერთად, მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის, პრობლემის გადაჭრის და სხვა სოციალური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთი აქტივობების განხორციელებისას, რეკომენ-



სურ 1. წყვილებში მუშაობა

სურ 2. მეხების კლასტერები

დებულია კლასში მერხების წყობის ცვლა, რაც დიფერენცირებული სწავლების ერთ-ერთ სტრატეგიას წარმოადგენს. მერხების სხვადასხვა ფორმით განლაგება ეხმარება მასწავლებელს, განახორციელოს აქტივობები, რომლებიც მოითხოვს მოსწავლეებს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარებას და ხელს უწყობს წესების დაცვის გავარჯიშებას.

კლასის მართვის სტრატეგიების გამოყენებით, მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან ინკლუზიური სასწავლო გარემო, რომელიც შეესაბამება მოსწავლეების მრავალფეროვან საჭიროებებს. ასეთი სტრატეგიები აერთიანებს საკლასო წესების დანერგვას, საკლასო გარემოსა და სასწავლო რესურების ორგანიზებას, ნათელი ინსტრუქციების გაცემას, მოსწავლეთა ჩართულობის სისტემატურ მონიტორინგსა და მოსწავლეთა პოზიტიური ქცევების წახალისებას.

იმისათვის, რომ მრავალფეროვანი აქტივობების დაგეგმვისას, თავიდან აირიდოთ კლასში ხმაური და არეულობა, აქტივობის დაწყებამდე ჩამოთვალეთ გაკვეთილზე გამოსაყენებელი ნივთები/რესურსები – უთხარით მოსწავლეებს, კონკრეტულად რისი გამოყენება დასჭირდებათ; განუმარტეთ, რომ, მაგალითად, ნახატის შექმნისთვის დასჭირდებათ ფურცლები, ფუნჯები, საღებავები ან ფერადი ფანქრები და საშლელი. ასეთი აქტივობების პირველად გამოყენების შემთხვევაში, სასურველია მოსწავლეების ასისტირება, რათა თავიდან ავიცილოთ ყურადღების გამფანტავი მომენტები, მაგალითად, წყლიანი ჭიქის გადაყირავება, ფანქრების ძირს დაყრა და ა.შ..

მოარიდეთ მოსწავლეებს არასაჭირო ნივთები, როდესაც ამჩნევთ, რომ მერხზე არსებული კონკრეტული ნივთი იწვევს მათი ყურადღების გაფანტვას. რეკომენდებულია, სთხოვოთ აღნიშნული საგნის შენახვა, ხოლო თუ ამას არ გააკეთებს, თავად შეინახოთ ის. შემდგომში კი გაკვეთილის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ არასაჭირო ნივთები არ დევს მერხზე.

კლასის ეფექტური მართვისთვის, ასევე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნათელი და მკაფიო ინსტრუქციების გაცემას მასწავლებლის მხრიდან. ნებისმიერ საკლასო აქტივობას აქვს ორი განზომილება – აკადემიური და სოციალური; შესაბამისად, დავალებასთან დაკავშირებულ თითოეულ სიტუაციაში მოსწავლეს არა მარტო იმის განსაზღვრა უწევს, თუ რა უნდა ისწავლოს აკადემიური მიმართულებით, არამედ, იმისაც, თუ კონკრეტულად როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა აქტივობის პროცესში. აქტივობასთან თუ დავალებასთან დაკავშირებული ინსტრუქცია უნდა იქნეს მიწოდებული დეტალურად და ნაბიჯ-ნაბიჯ. მასწავლებელმა უნდა შეამოწმოს თუ რამდენად გაიგო ყველა მოსწავლემ ინსტრუქცია; ამისათვის უნდა დასვას დამატებითი კითხვები, სთხოვოს მოსწავლეებს დავალების საფეხურების დემონსტრირება, გამეორება და სხვა. ინსტრუქციების გა-ცემის შემდეგ კი აუცილებელია ინსტრუქციის შესრულების მონიტორინგი, რაც გულისხმობს კლასზე დაკვირვებას და ისეთი სპეციფიკური სიგნალების ამოცნობას, როგორებიცაა მოსწავლეების დაბნეულობა, ყურადღების გაფანტულობა თუ სხვა ისეთი ქცევები, რომლებიც ხელისშემშლელია ინსტრუქციის შესრულებისთვის. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ბარიერების გარეშე შეძლონ ინსტრუქციების შესრულება, ხშირად გამოიყენეთ ვიზუალური განრიგები, მიმანიშნებლები, ინსტრუქციის გამეორება და, ამასთანავე, აუცილებლად წაახალისეთ მოსწავლეების ნებისმიერი მცდელობა, შეასრულონ მიღებული ინსტრუქცია.

შეჯამებისათვის, კლასის მართვის სტრატეგიების გამოყენებით, მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან ინკლუზიური სასწავლო გარემო, რომელიც შეესაბამება მოსწავლეების მრავალფეროვან საჭიროებებს. ასეთი სტრატეგიები აერთიანებს საკლასო წესების დანერგვას, საკლასო გარემოსა და სასწავლო რესურების ორგანიზებას, ნათელი ინსტრუქციების გაცემას, მოსწავლეთა ჩართულობის სისტემატურ მონიტორინგსა და მოსწავლეთა პოზიტიური ქცევების წახალისებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1 კლასის მართვა, კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ჯ.მარზანო (2009).

2 Effective Classroom Management: Pearson New International Edition: Models and Strategies for Today's Classrooms, 3rd Edition. Pearson, Hardin, C. (2013).

3 Classroom management techniques. Cambridge University press, scrivener j. (2012).

4 A handbook for classroom management that works / Robert J. Marzano, (ASCD) (2005)

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერა: წარმატებული პრაქტიკის გაზიარება



ეკა ზაქარეიშვილი
ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

ინკლუზიური განათლების მთავარი მიზანია, ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე მოსწავლისთვის შექმნას განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა. ის ფაქტი, რომ სკოლა მზად არის მიიღოს მოსწავლე და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს მის განვითარებას, დიდ პასუხისმგებლობასა და კომპეტენციასთან ერთად, საგანმანათლებლო სივრცეში სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსის არსებობასაც მოითხოვს. სპეციალური მასწავლებელი ეს არის სწორედ ის პიროვნება, რომელიც მაქსიმალურადაა ჩართული საგანმანათლებლო პროცესებში, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და მისი თანაკლასელები სასწავლო პროცესის სრულფასოვანი მონაწილეები ერთობლივად გახდნენ. სპეციალური მასწავლებელი აღნიშნული ამოცანის შესრულებაში მარტო არ არის; ის ერთ-ერთი რგოლია, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, პედაგოგებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად, რომელსაც საგანმანთლებლო პროცესის ხარისხიანად უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა აკისრია.

ჩემთვის, როგორც სპეციალური მასწავლებისთვის, თავდაპირველ მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა

სპეციალური მასწავლებელი ეს არის სწორედ ის პიროვნება, რომელიც მაქსიმალურადაა ჩართული საგანმანათლებლო პროცესებში, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და მისი თანაკლასელები სასწავლო პროცესის სრულფასოვანი მონაწილეები ერთობლივად გახდნენ.

სკოლის თემის მხარდაჭერა იმ მიმართულებით, რომელსაც სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭირებების დანახვა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა ჰქვია. ჩემი პროფესიული კარიერის განმავლობაში, სხვადასხვა ტიპის გამოწვევებთან მომიწია გამკლავება. საწყის ეტაპზე ეს დაკავშირებული იყო საზოგადოების დამოკიდებულებებისა და წარმოდგენების შეცვლასთან, რადგან ხშირად ჩნდებოდა კითხვები სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. სასკოლო საზოგადოებისთვის სირთულეს წარმოადგენდა იმის გააზრება, რომ ნებისმიერ მოსწავლეს, განურჩველად მისი საჭიროებებისა, შეეძლო ესწავლა და ჰქონდა უფლება, სასწავლო პროცესის მონაწილე ყოფილიყო.

სკოლის მასწავლებლები ხშირად გამოხატავდნენ გულისტკივილს და სვამდნენ კითხვებს: – „რას მოვახერხებ მოსწავლესთან, რომელსაც არ აქვს განვითარებული ასაკის შესაბამისი უნარები“? ან „როგორ ვასწავლო მოსწავლეს, თუკი ის ინსტრუქციების გაგებისა და შესრულების პროცესშიც კი სირთულეებს აწყდება“? ჩემი პასუხი ყოველთვის ერთი იყო და უკავშირდებოდა ინკლუზიურობის მთავარ პრინციპს – შეაფასოთ მდგომარეობა, სად ხართ შენ და მოსწავლე; სწორად დაინახოთ, საით უნდა წახვიდეთ და განსაზღვროთ როგორ, რა დროში მოახერხებთ სასურველ შედეგამდე მისვლას. ყოველთვის ვაიმედებდი პედაგოგებს, რომ აღნიშნული მიდგომის მთავარი ხიბლი ის არის, რომ თითოეულ ბავშთან ერთად გასავლელი გზა ინდივიდუალური, უნიკალური და საიტერესოა.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ვმუშაობდი სასკოლო გარემოში, გახლდათ გზა თუ როგორ მიგვეღწია სასურველი შედეგებისთვის. პირველ რიგში, უნდა გაგველღო ყინული მასწავლებლის სკეპტიკურ დამოკიდებულებასა და იმ რეალობას შორის, რომლის წინაშეც იდგა მოსწავლე. ყინულის გადნობა კი **იწყება სწორი კომუნიკაციით და ამ პროცესში** მშობლის ჩართულობა არის უმნიშვნელოვანესი. სწორედ, ამის შედეგია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფის შეხვედრების წარმოება და თითოეული საგნის მასწავლებლის მხრიდან კონკრეტული გზის დასახვა. მოსწავლის უნარების განსაზღვრა კონკრეტულ საგანთან მიმართებაში, ანუ საგნობრივი შეფასების კომპონენტის გაძლიერება და შესაბამისი მიმართულებების განსაზღვრა. ასევე, სწორი გაანალიზება საკითხის – მოსწავლის წარმატებისთვის აკომოდაციაა საჭირო თუ ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციაა უცილებელი. ხომ არ არის საჭირო, აკომოდაციისა და მოდიფიკაციის გარდა, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შეტანაც?



სპეციალური მასწავლებლის როლი მრავალფეროვანია, უკავშირდება მოსწავლის აკადემიური და შემეცნებითი უნარების შეფასებას, ინტერვენციის გეგმის შედგენას, ქცევის მართვის გეგმის წარმოებას. აღნიშნულის გარდა, უმნიშვნელოვანესია, რომ იგი აქტიურად უწევდეს კონსულტირებას საგნის მასწავლებელს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის დროს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან მუშაობის მთავარი ინსტრუმენტი და პროგრესის განმაპირობებელია; შესაბამისად, სირთულეები გეგმის შედგენისა და იმპლემენტაციის პროცესში, უარყოფითად აისახება მოსწავლის განვითარებასა და შედეგებზე. ისეთი დრამატული შედეგის მიღებაც კი არის შესაძლებელი, როდესაც მოსწავლე საგაკვეთილო პროცესიდან სრულად გარიყული აღმოჩნდება. სწორედ ამ საფრთხეების ასაცილებლად, სპეციალურმა მასწავლებელმა, რელევანტური მიზნების დასახვისა და აქტივობების ადაპტირების მიმართულებით, კონკრეტული ინდივიდის საჭიროებაზე მორგებული რეკომენდაციები უნდა მისცეს პედაგოგებს.

მე, როგორც სპეციალური მასწავლებელი, მაქსიმალურად ვცდილობ, რომ მასწავლებლების რეკომენდაციებში აქცენტები გავაკეთო სასწავლო პროცესის დიფერენცირებული მიდგომებით წარმართვაზე. ჩემთვის მუდმივად საორიენტაციოა ეს ჩანაწერი:

„სწავლების თანამედროვე მიდგომა უნივერსალური დიზაინის პრინციპებს ეფუძნება, ქმნის სწავლის თანაბარ შესაძლებლობას ყველა ინდივიდისთვის, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებისა“

ჟანა კვაჭაძე

„სასწავლო აქტივობები ყველასათვის“, 2017

1. **ინფორმაციის წარდგენის მრავალფეროვანი გზა:** რას ვსწავლობ? რას ვხედავ, რა მესმის, რას ვკითხულობ?
2. **გამოხატვის მრავალფეროვანი გზა:** როგორ ვსწავლობ? ცოდნის გადმოცემის, აქტივობის და გამოხატვის რა გზებს ვიყენებ?
3. **მოტივაციის (ჩართვის) მრავალფეროვანი გზა:** რატომ ვსწავლობ? (რა მნიშვნელობის მატარებელია ეს ცოდნა?) როგორ გამოვიყენებ მას?

უკვე შევეხეთ სპეციალური მასწავლებლის როლს სასკოლო სივრცეში ბავშვების მიმართ სათანადო დამოკიდებულებების ჩამოყალიბების, ინდივიდუალური მიდგომის დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეყობის მიმართულებით. ყოველივე ეს კი შეუძლებელია თანამშრომლობითი გარემოს შექმნის გარეშე. სპეციალური მასწავლებლისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აღნიშნული უნარების ფლობა, რადგან რეალურად სკოლის თემში ის არის პროფესიონალი, რომელსაც უწევს იმ ჯაჭვის შეკვრა რომელსაც— მოსწავლის გარშემო მომუშავე გუნდი ეწოდება. ხშირ შემთხვევაში, მას უწევს იყოს შუამავალი მშობელსა და სკოლას შორის. შესაბამისად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველი ჩვენი გონივრული ქმედება შედეგობრივად ისახება მოსწავლის როგორც აკადემიურ, ისე ფუნქციურ და სოციალურ უნარებზე.

მინდა შევეხო სპეციალური მასწავლებლის ფუნქციას, რომელიც რესურსოთახის სივრცეში მუშაობას გულისხმობს. ვფიქრობ, ჩვენ, სპეციალური მასწავლებლები, მშობლები და მთლიანად სასკოლო საზოგადოება, შეცდომას ვუშვებთ, როდესაც რესურსოთახს ზოგჯერ არა ინკლუზიური გარემოს, არამედ იზოლაციის ხელშემწყობ სივრცედ ვაქცევთ ხოლმე. ამიტომ მნიშვნელოვანია ვიმუშაოთ იმ კუთხით, რომ რესურსოთახი იქცეს სკოლის თემის, ყველასთვის ხელმისაწვდომ სივრცედ, დაიგეგმოს სხვადასხვა ჯგუფური აქტივობა, სადაც არა მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, არამედ მათი თანაკლასელებიც იქნებიან ჩართულები (*მ. წულაძე, მ. ზაქარეიშვილი „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რესურსოთახების ორგანიზებისა და ფუნქციონირების გზამკვლევი“*).

მინდა რამდენიმე კარგი პრაქტიკის მაგალითი გაგიზიაროთ. ჩემი საქმიანობის განმავლობაში, მქონია არაერთი სწორად დაგეგმილი აქტივობების ციკლი, რომელმაც მომცა დადებითი შედეგი მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარების განვითარების კუთხით. მაგრამ დღესდღეობით ჩემთვის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი გახლავთ ტრანზიცია—როგორც პირველკლასელთა, ასევე, სკოლის შედგომ კარიერული გზის დაგეგმის კუთხით. მოხარული ვარ, რომ შემიძლია გაგიზიაროთ აქტივობათა ის ციკლი, რომელმაც მომცა შედეგი პირველკლასელთა საგანმანათლებლო პროცესში წარმატებული ტრანზიციის მიმართულებით. შესაბამისად, ყოველი განხორციელებული აქტივობა შეგიძლიათ ასახოთ ტრანზიციის ინდივიდუალურ გეგმაში.

ყველა ზემოაღნიშნული აქტივობის განხორციელება, რომელიც უკვე აპრილის თვიდან იწყება (პირ-

ყოველთვის ვაიგივებდი პედაგოგებს, რომ აღნიშნული მიდგომის მთავარი ხიბლი ის არის, რომ თითოეულ ბავშვთან ერთად გასავლელი გზა ინდივიდუალური, უნიკალური და საინტერესოა.

ველადი რეგისტაციის შემდეგ) და გრძელდება სწავლის დაწყებამდე, გვაძლევს შედეგს, რომლის საფუძველზეც მიმღები დაწესებულება, ამ შემთხვევაში სკოლა, მომზადებული ხვდება პირველკლასელს, როგორც ფიზიკური გარემოს, ასევე ადამიანური რესურსის კუთხით; სკოლა უკვე იცნობს მოსწავლის საჭიროებებს და ტრანზიციის პროცესის სწორად წარმათვით, მოსწავლის ადაპტირება ახალ, აკადემიურ გარემოში უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

ხშირად მსმენია სპეციალური მასწავლებლების მხრიდან, რომ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან მათი ჩართულობა ნაკლებია, რადგან ვერ ხდება შესაბამისი სერვისის მიწოდება. ჩემი გამოცდილებით კი, სწორედ ტრანზიციაზე მუშაობამ, რომელიც ეხება სკოლის შემდგომი კარიერული გზის დაგეგმვას, მომცა საშუალება, აქტიურად დავეხმარო ამ საფეხურის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს, რათა სკოლის



გარემოშივე მოხდეს პროფესიული კუთხით ინტერესების გამოკვეთა და შემდგომ გაგრძელდეს პროფესიულ კოლეჯში. ამჟამად ვმუშაობ ერთ-ერთ საშუალო საფეხურის მოსწავლესთან, რომელთან მიმართებაშიც წინა წელს გამოვკვეთეთ ტანსაცმლის დიზაინის კუთხით ინტერესი, სკოლის გარემოში მოვუწყეთ მისი შექმნილი პროდუქციის ჩვენება, აღნიშნულ ესკიზებზე დაყრდნობით;

წელს ვფიქრობთ, გავაფართოოთ ინტერესთა სფერო და პარალელურად დავგეგმოთ ვიზიტები სხვადასხვა კოლეჯში. აღნიშნული აქტივობებიც, ბუნებრივია, აისახება ინდივიდუალურ ტრანზიციის გეგმაში.

მიუხედავად წარმატებული შემთხვევებისა, პროცესში მრავალ გამოწვევას ვხვდებით, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის რესურსის სიმწირეში; ასევე, ვფიქრობ, რომ სპეციალურ მასწავლებლებს გვჭირდება თანამედროვე მიდგომების შესასწავლი/კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგკურსების გავლა.

სტატიის ბოლოს, მინდა ყველას გისურვოთ წარმატება თქვენს პრაქტიკულ საქმიანობაში; გისურვოთ, რომ არასოდეს დაკარგოთ იმ საქმის კეთების მოტივაცია, რომლითაც ეხმარებით მომავალ თაობას, რათა თქვენს მოსწავლეებს ჰქონდეთ საშუალება მაქსიმალურად განივითარონ საკუთარი შესაძლებლობები, რეალიზდნენ და სოციუმის წარმატებული წევრები გახდნენ, მიუხედავად მათი საჭიროებებისა.

ელზა ხუნუნაიშვილი
ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მხარდაჭერა: წარმატებული პრაქტიკის გაზიარება

მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან მეტი აქცენტის მაკეთება მოსწავლის შესაძლებლობებსა და ძლიერ მხარეებზე. შესაძლებლობებზე კონცენტრირება მნიშვნელოვნად ცვლის თითოეული ადამიანის მიდგომას არსებული მარემოს მიმართ.

საქართველოში ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა 2005 წლიდან დაიწყო ათ საპილოტე სკოლაში. სწორედ ამ დროიდან დავიწყე მუშაობა სპეციალურ მასწავლებლად ჯერ სსიპ – ქალაქ თბილისის ვაჟა-ფშაველას სახელობის N87 საჯარო სკოლაში და შემდეგ უკვე სსიპ – ქალაქ თბილისის N131 საჯარო სკოლაში.

ინკლუზიური განათლება არის საგანმანათლებლო მიდგომა, რომელიც გულისხმობს ხარისხიან განათლებას თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ჩემი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში იყო ბევრი გამოწვევა. საწყის ეტაპზე, მასწავლებლებს ბევრი კითხვა უჩნდებოდათ და საჭიროებდნენ პროფესიული უნარ-ჩვევების მეტად დახვეწას, რათა გაზრდილიყო სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთა, მასალის ადაპტირება, რესურსების მოძიება და სხვა.. მასწავლებლები ხშირად მეკითხებოდნენ – როდესაც ბავშვს კონკრეტული ინტერესი არ აქვს გამოკვეთილი, როდესაც სხვადასხვა უნარი არ აქვს შესაბამისად განვითარებული, როგორ უნდა ჩავრთო ის საგაკვეთილო პროცესში? შეძლებს სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობას?.. ჩემი რჩევა ამ საკითხებთან დაკავშირებით იყო შემდეგი: მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სწავლის თავისებურებების მიხედვით. მოსწავლე რომ ჩართოთ საგაკვეთილო პროცესში, გჭირდებათ გამოწვევები, მხარდაჭერა ამ გამოწვევებთან გამკლავებაში და წარმატების განცდა; თუ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების, ინტერესებისა და ძლიერი მხარეების იგნორირებას მოვახდენთ, წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის საინტერესო და მიმზიდველი სასწავლო გარემოს შეთავაზება, მისი უნარების სწორად შეფასება, ინდივიდუალური სასწავლო ჯგუფის წევრების ერთობლივი მუშაობა.

გამოცდილებამ დამანახა, რომ მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში სწორად იყოს ადაპტირებული

და გამოყენებული სასწავლო მასალები და რესურსები. მე, როგორც სპეციალური მასწავლებელი, ვცდილობ, გავუწიო დახმარება საგნის მასწავლებლებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ეფექტურად ჩართვაში.

ასევე, ჩემს პრაქტიკაში ხშირად ვიყენებ აქტივობებს, რომლებსაც ვთავაზობ მოსწავლეებს თამაშის გზით. ამისათვის აქტიურად ვიყენებ ისეთ მეთოდოლოგიებს, როგორებიცაა: დიფერენცირებული სწავლება, მულტიმოდალური მიდგომა, კეთებით სწავლება, მოდელირება და სხვა. გამოყენებული მეთოდოლოგიები ეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს სასწავლო მასალის თვალსაჩინოდ და ეფექტურად აღქმასა და დაგროვილი ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებაში.

გთავაზობთ ადაპტირებული სასწავლო მასალის რამდენიმე მაგალითს ჩემი პრაქტიკიდან:

აქტივობა N1

აქტივობის მიზანია შემდეგი უნარების განვითარების ხელშეწყობა:

- მათემატიკური უნარების განვითარება;
- ვიზუალური აღქმა;
- ვიზუალურ-სივრცითი უნარები;
- ყურადღების კონცენტრაცია.

აქტივობის შესასრულებლად დაგჭირდებათ ფლიფჩარტის ფურცელი, ხის ან პლასტმასის ფიგურები ცხოველების გამოსახულებით და კამათელი. ფლიფჩარტის ფურცელზე მარკერით უნდა დახაზოთ პატარა ზომის უჯრები, ასევე, უნდა დაამზადოთ კამათელი, რომელზეც მოცემული იქნება სხვადასხვა გროვის რაოდენობა. ფლიფჩარტის ფურცელზე დახაზული უჯრები უნდა შედგებოდეს რამდენიმე



სვეტისა და სტრიქონისაგან. მოსწავლემ თითოეული სვეტის დასაწყისში უნდა დასვას ცხოველი, შემდეგ აგორებს კამათელს, აკვირდება და ასახელებს კამათელზე შესაბამის გროვათა რაოდენობას. ამის შემდეგ მოსწავლეს ვთხოვთ, იპოვოს მესამე სვეტში მყოფი ცხოველი და დასვას შესაბამის უჯრაში. ასე გრძელდება თამაში და ბოლოს მოსწავლეს ვეკითხებით, რომელი ცხოველია ყველაზე წინ? რომელი ცხოველია ყველაზე უკან?

აქტივობა N2

აქტივობა გვეხმარება შემდეგი უნარების განვითარებაში:

- ნატიფი მოტორული უნარების განვითარება;
- აღქმა (ტაქტილური, მხედველობითი);
- შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- ყურადღების კონცენტრაციის უნარის განვითარება.

ხის ან პლასტმასის კოვზზე მარკერით დახატეთ სხვადასხვა რაოდენობის ბურთი. ჯამში მოათავსეთ პატარა ზომის სხვადასხვა ფიგურა, ლობიოს მარცვალი და ა.შ.. სთხოვეთ მოსწავლეს აიღოს კოვზი, დააკვირდეს და დაითვალოს რამდენი ბურთია მასზე დახატული და ჯამიდან ამოიღოს შესაბამისი რაოდენობის ფიგურა.

აქტივობა N3

აქტივობის საშუალებით ხდება შემდეგი უნარების განვითარება:

- კითხვის უნარი;
- წაკითხულის შინაარსის გაგების უნარი;
- ლექსიკური მარაგის გაუმჯობესება;
- ყურადღების კონცენტრაცია;
- აღქმა;
- ნატიფი მოტორული უნარები.

აიღეთ ფლიფჩარტის ფურცელი და მარკერით გაყავით ოთხ ტოლ ნაწილად. თითოეულ ნაწილში მოსწავლემ უნდა დაასრულოს წელიწადის დროსთან დაკავშირებული დაუსრულებელი ნახატი. სთხოვეთ მოსწავლეს, გაიხსენოს წელიწადის დროები, ჩამოთვალოს და დაახასიათოს თითოეული მათგანი. ნახატის დასასრულებლად, წინასწარ გაამზადეთ წელიწადის თითოეულ დროსთან დაკავშირებული რესურსი. გაზაფხულის ნახატი რომ დაასრულოს, მოსწავლემ უნდა გამოჭრას მწვანე ფოთლები და დააწებოს ხეზე; მას თავისი ფანტაზიითაც შეუძლია გააფორმოს ნახატი. ზაფხულის ნახატი რომ დასასრულოს, ლურჯი ფერის ძაფისგან უნდა გააკეთოს

ზღვა და დააწებოს ნახატზე. შემოდგომის ნახატის დასასრულებლად დაგვჭირდება სხვადასხვა ფერის ფოთლები, ხოლო ზამთრის ნახატის დასასრულებლად – ბამბა.

მოსწავლეს შესთავაზეთ, დააკვირდეს სურათებს და აღწეროს წელიწადის თითოეული დრო. პატარა ბარათებზე წაიკითხოს სიტყვები და მოათავსოს შესაბამის წელიწადის დროსთან. წინასწარ გაამზადეთ წელიწადის დროებთან დაკავშირებული ტანსაცმლის ბარათები და მოსწავლეს სთხოვეთ, დაასახელოს თითოეული მათგანი და დააკავშიროს წელიწადის შესაბამის დროსთან.

აქტივობა N4

შესთავაზეთ მოსწავლეს სამი ადაპტირებული ტექსტი, რომლებიც უკვე შესწავლილი აქვს, კიდევ ერთხელ წაიკითხოს. შემდეგ დაუსვით შეკითხვები: სად მიდიოდა პინოქიო? ვინ უყიდა მას ანბანი? რა გააკეთა მამა ჯეპიტომ, რომ პინოქიოსთვის ანბანი ეყიდა? რას ფიქრობდა პინოქიო? რამ მიიქცია პინოქიოს ყურადღება?.. ეზოში რამდენი ბიჭი ცხოვრობდა? რა ერქვათ ბიჭებს? რა გააკეთა ვახტანგმა?.. ვის ეძინა ტყეში? ვინ გადაურბინა ლომს? თაგვმა რა სთხოვა ლომს?



წინასწარ გაამზადეთ ტექსტების შესაბამისი სურათები და სათაურები. სთხოვეთ მოსწავლეს, თითოეულ ტექსტს შეუსაბამოს სურათი და სათაური.

აქტივობა N5

მოსწავლის წინ განათავსეთ პატარა ბარათებზე დაბეჭდილი სიტყვები და სიტყვის შესაბამისი სურათები. სთხოვეთ მოსწავლეს, წაიკითხოს სიტყვები მარცვალ-მარცვალ და დადოს შესაბამის სურათთან.

თაბახის ფურცელზე ერთ სვეტში დაწერეთ იგივე სიტყვები, ხოლო მეორე სვეტში განათავსეთ სიტყვის შესაბამისი სურათები. სთხოვეთ მოსწავლეს, წაიკითხოს სიტყვები და შეუსაბამოს სურათებს.

თაბახის ფურცელზე ამობეჭდეთ სურათები და სურათის ქვემოთ დაწერეთ სიტყვა, რომელსაც აკლია ასოები, სთხოვეთ მოსწავლეს ჩასვას სიტყვებში გამოტოვებული ასოები.

და ბოლოს, თაბახის ფურცელზე ამობეჭდეთ სურათები და სურათის ქვემოთ დაწერეთ სიტყვა, რომელშიც არეულია ასოები, სთხოვეთ მოსწავლეს, დაალაგოს სიტყვაში არეული ასოები სწორად.









მნიშვნელოვანია, სწავლა-სწავლების პროცესში გავითვალისწინოთ შემდეგი:

- მოსწავლის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გამოკვეთა;
- მოსწავლის ინტერესებისა და მოტივაციური ფაქტორების გათვალისწინება;
- რელევანტური მიზნების სწორად განსაზღვრა;
- სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება;
- დავფიქრდეთ, რამდენად უწყობს ხელს ჩვენ მიერ შერჩეული სტრატეგიები მოსწავლის სოციალური, აკადემიური თუ ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების გამოყენება-განვითარებას, რაც საბოლოოდ გავლენას იქონიებს უმთავრეს მიზანზე—დამოუკიდებლობის ხარისხზე, კეთილდღეობასა და პროდუქტიულობაზე.

შეჯამების სახით მსურს აღვნიშნო, რომ მნიშვნელოვანია მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან მეტი აქცენტის გაკეთება მოსწავლის შესაძლებლობებსა და ძლიერ მხარეებზე. შესაძლებლობებზე კონცენტრირება მნიშვნელოვნად ცვლის თითოეული ადამიანის მიდგომას არსებული გარემოს მიმართ. სკოლა, ეს ის სივრცეა, სადაც უდიდესი რესურსი არსებობს და სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელია სწორი ღირებულებების ჩამოყალიბება, აკადემიური მიზნების მიღწევა და პოზიტიური ქცევის განმტკიცება.

სწავლა-სწავლების ეფექტიანი სტრატეგიები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან

თამარ ისაკაძე
ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის კონსულტანტი

ყველა მოსწავლეს აქვს სწავლისა და წარმატების პოტენციალი. თუმცა, ზოგიერთს შეიძლება შეექმნას კონკრეტული გამოწვევები; ამ გამოწვევების მიზეზი ხშირად მათ მიმართ ნაკლებად ეფექტიანი სასწავლო სტრატეგიების გამოყენებაა. უნიკალურ საჭიროებებზე სწავლების სტრატეგიების მორგება არა მხოლოდ სასარგებლოა, არამედ აუცილებელია მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული ზრდისთვის.

თითოეული ინდივიდი უნიკალურია და ეს უნიკალურობა ვრცელდება მისი სწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. როდესაც საქმე განათლებას ეხება, აუცილებელია ამოვიცნოთ და დავაკმაყოფილოთ ის საჭიროებები, რომლებიც მოსწავლეთა განვითარების დარღვევებსა და საჭიროებების მრავალფეროვნებას უკავშირდება. ხელშემწყობმა პირობებმა და სწავლების ეფექტიანმა სტრატეგიებმა შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს პიროვნების კოგნიტურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებაზე, რაც გადამწყვეტია მისი სწავლებისა და მხარდაჭერის პროცესში.

თითოეული ინდივიდი უნიკალურია და ეს უნიკალურობა ვრცელდება მისი სწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. როდესაც საქმე განათლებას ეხება, აუცილებელია ამოვიცნოთ და დავაკმაყოფილოთ ის საჭიროებები, რომლებიც მოსწავლეთა განვითარების დარღვევებსა და საჭიროებების მრავალფეროვნებას უკავშირდება.

ინკლუზიური განათლების ფილოსოფია აგებულია იმ წინაპირობაზე, რომ ყველა ბავშვს, განურჩევლად შესაძლებლობებისა/შეზღუდული შესაძლებლობისა, აქვს უფლება მიიღოს ხარისხიანი განათლება ყველაზე ნაკლებად შემზღუდავ გარემოში. ეს ხელს უწყობს:

- თანასწორობასა და სოციალურ სამართლიანობას;
- ავითარებს სოციალურ უნარებს და მხარადჭერას;
- აუმჯობესებს აკადემიურ შედეგებს;
- მოსწავლეებს ამზადებს მრავალფეროვან საზოგადოებაში ცხოვრებისთვის.

ამ სტატიაში ჩვენ გავაანალიზებთ განვითარების საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისი სწავლა-სწავლების სტრატეგიებისა და ადაპტაციის მნიშვნელობას საგანმანათლებლო გარემოში.

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლის ეფექტიანი სტრატეგიები

სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეები აწყდებიან არა ერთ გამოწვევას სწავლის პროცესში. ამ გამოწვევების სპეციფიკური ბუნება და ინტენსივობა შეიძლება განსხვავდებოდეს როგორც დარღვევის ტიპის, ასევე სხვა ინდივიდუალური ფაქტორების მიხედვით.

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ეფექტური სწავლის სტრატეგია, რომლებიც მორგებულია სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა საჭიროებებზე:

1. **მკაფიო ინსტრუქცია** – დაყავით ცნებები და უნარები პატარა, მართვად ნაწილებად და ასწავლეთ თითოეული ეტაპობრივად. მკაფიო ინსტრუქცია, ასევე, გულისხმობს შემდეგი სტრატეგიების გამოყენებას - ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციები, განმეორებითი მიმართულებების მიმცემი ინსტრუქციები და ინსტრუქციის გაგების შემოწმება.
2. **მულტისენსორული (მულტიმოდალური) ტექნიკა** – ჩართეთ მრავალი შეგრძნება, მაგალითად, ახალი სიტყვის სწავლებისას, თუ მოსწავლეებს შეუძლიათ მისი დანახვა, თქმა, მოსმენა და დაწერა, სწავლება მეტად ეფექტიანი ხდება. რესურსები, როგორებიცაა ქვიშა, გამოძერწილი ასოები ან თეთრი დაფები სხვადასხვა ფერის მარკერებით, შეიძლება სასარგებლო იყოს. გამოიყენეთ ვიზუალური საშუალებები, როგორებიცაა დიაგრამები, გრაფიკები და სურათები, ასევე, ტაქტილური რესურსები, როგორებიცაა მაგალითად, ხის, მაგნიტური ან ქაღალდისგან და მუყაოსგან გამოჭრილი ასოები, ასევე, გამოიყენეთ რიტმული ფრაზები ან სიმღერები გარკვეული ცნებების სწავლებისთვის.
3. **ვიზუალური მხარდაჭერა** – გამოიყენეთ გრაფიკული ორგანიზატორები, სქემები და დიაგრამები. ვიზუალური ნიშნები შეიძლება იყოს განსაკუთრებით მომგებიანი სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, რადგან ისინი ხელს უწყობს ინფორმაციის ვიზუალიზაციასა და ორგანიზებას; ესენია: ვენის დიაგრამა, ციკლის აღმნიშვნელი დიაგრამა, მოვლენათა თანმიმდევრობის აღმნიშვნელი ცხრილი და სხვა.
4. **პოზიტიური უკუკავშირი და განმავითარებელი კომენტარი** – უწყვეტი უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეებს შეცდომების იდენტიფიცირებაში და დაუყოვნებლივ გამოსწორებაში. ეს ხელს უწყობს სწორი ინფორმაციისა და უნარების განმტკიცებას.
5. **დანაწევრება** – ინფორმაციის მცირე, მართვად ნაწილებად დაყოფა დაეხმარება მოსწავლეებს მის დამუშავებასა და დამახსოვრებაში. დაყავით გაკვეთილები ნაწილებად, თანდათან გაზარდეთ სირთულე და მოთხოვნები. უხელმძღვანელეთ მოსწავლეებს თითოეულ ფაზაში, თანდათანობით შეამცირეთ მხარდაჭერა, როდესაც ისინი დახელოვნდებიან ამა თუ იმ უნარის დემონსტრირებაში.
6. **ასწავლეთ ისეთი უნარები, რომლებიც სწავლას უწყობს ხელს** – წაახალისეთ ჩანაწერების წარმოება, შეჯამება და აქტიური მონაწილეობა. ასწავლეთ აზრების, მასალებისა და დროის ორგანიზების სტრატეგიები.
7. **დავალებების მოდიფიკაცია** – დაარეგულირეთ დავალებების რაოდენობა ან სირთულე ძირითადი მიზნების შენარჩუნებით.
8. **უსაფრთხო სასწავლო გარემო** – დამხმარე გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეებს შეცდომის დაშვების არ ეშინიათ, შეიძლება მომგებიანი იყოს. ხაზი გაუსვით ძალისხმევისა და მოტივაციის ღირებულებას.

9. **მკაფიო მოლოდინების დაყენება** – ნათლად გამოხატეთ და ვიზუალურადაც კი აჩვენეთ მოლოდინები, მიზნები და ნაბიჯები, რომლებიც საჭიროა დავალების შესასრულებლად.
10. **წაახალისეთ თვითადვოკატირება** – მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ საკუთარი ძლიერი მხარეები და წაახალისონ თავიანთი საჭიროებების შესახებ კომუნიკაცია მასწავლებლებთან, თანატოლებთან და სხვებთან.
11. **მოქნილი შეფასება** – აღიარეთ, რომ ტესტირების ტრადიციული მეთოდები ყოველთვის არ არის ეფექტიანი იმისთვის, რომ სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლემ საკუთარი ცოდნის სრული გამოვლენა შეძლოს; შესთავაზეთ ცოდნის დემონსტრირების ალტერნატიული გზები, როგორებიცაა ზეპირი პრეზენტაციები ან პროექტზე დაფუძნებული შეფასებები.
12. **დიფერენცირებული ინსტრუქცია** – მოარგეთ თქვენი სწავლების მეთოდები თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ეს შეიძლება მოიცავდეს: დავალებების კითხვის დონის რეგულირებას, ალტერნატიული დავალებების მიწოდებას, სხვადასხვა საშუალების გამოყენებას, როგორებიცაა ვიდეო, აუდიო წიგნები და ინტერაქციული პროგრამული უზრუნველყოფა.
13. **მხარდამჭერი გარემოს შექმნა** – შექმენით საკლასო კულტურა, სადაც შეცდომები განიხილება, როგორც სასწავლო პროცესის ბუნებრივი ნაწილი, წახალისებულია თანატოლების მხარდაჭერა და თანამშრომლობა, ყველა მოსწავლე გრძნობს თავს დაფასებულად და მიღებულად.
14. **დამატებითი დროის გამოყენება** – სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებს ხშირად ესაჭიროებათ დამატებითი დრო ამოცანებისთვის,



როგორებიცაა კითხვა, წერა ან ტესტის ჩატარება. დარწმუნდით, რომ ისინი არ იჩქარებენ და აქვთ საკმარისი დრო დამუშავებისა და რეაგირებისთვის.

სწავლის უნარის დარღვევის მქონე ყველა მოსწავლე უნიკალურია. ის, რაც ერთს ემსახურება, შეიძლება სულაც არ იყოს ეფექტიანი მეორისთვის. მნიშვნელოვანია შევაფასოთ კონკრეტული გამოწვევები, რომლებსაც აწყდება მოსწავლე და შესაბამისად მოვარგოთ მას სტრატეგიები. სპეციალურ მასწავლებლებთან, თერაპევტებთან და მშობლებთან თანამშრომლობა შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო იყოს სწავლების სწორი სტრატეგიების შერჩევაში. მიზანი არ არის მხოლოდ სწავლება; სწავლებასთან ერთად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა გაძლიერება თავდაჯერებულობითა და იმ რესურსებით, რომლებიც მათ სჭირდებათ განვითარებისთვის.

ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლის ეფექტიანი სტრატეგიები

ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეები (ID) საგანმანათლებლო პროცესებში უნიკალური გამოწვევების წინაშე დგანან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიძლება სწავლობენ და ამუშავებენ ინფორმაციას უფრო ნელა, ვიდრე მათი თანატოლები, მათ შეუძლიათ წარმატების მიღწევა სწორი სტრატეგიებითა და მხარდაჭერით.

ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობები მოიცავს შეზღუდვებს ინტელექტუალურ ფუნქციონირებაში (მსჯელობა, სწავლა, პრობლემის გადაჭრა) და ადაპტაციურ ქცევაში (ყოველდღიური სოციალური და პრაქტიკული უნარები).

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ეფექტური სწავლის სტრატეგია, რომელიც მორგებულია ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეებზე:

1. **სისტემური ინსტრუქცია** – გულისხმობს ამოცანებისა და ინფორმაციის დაყოფას მცირე, შესასწავლ კომპონენტებად და ინსტრუქციის თანმიმდევრულად და პროგნოზირებად მიწოდებას.
2. **დავალების ანალიზი** – დაყავით გასავითარებელი უნარი ან დავალება უფრო მცირე, უფრო მართვად ნაბიჯებად. ასწავლეთ თითოეული ნაბიჯი თანმიმდევრულად, სანამ მოსწავლე არ აითვისებს სრულ დავალებას.
3. **პრაქტიკული სწავლება** – ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეები ხშირად სარგებლობენ ტაქტილური და ექსპერიმენტული სწავლით. ეს შეიძლება იყოს მანიპულაციებით, რეალურ ცხოვრებაში გამოცდილებით ან პრაქტიკული აქტივობებით.
4. **რეალურ ცხოვრებაში გამოყენება** – შეძლებისდაგვარად, დაუკავშირეთ სწავლა რეალურ ცხოვრებაში არსებულ სიტუაციებსა და გამოცდილებას, რომლებიც შესაბამისია მოსწავლისთვის.
5. **სკაფოლდინგი (Scaffolded ინსტრუქცია)** – მიეცით საკმარისი მხარდაჭერა ახალი უნარის ან კონცეფციის დანერგვისას. თანდათან შეამცირეთ მხარდაჭერა, რადგან მოსწავლე იწყებს გაგებას და შეუძლია დამოუკიდებლად შესრულება.
6. **თანატოლთა სწავლება და თანამშრომლობითი სწავლება** – ჩართეთ თანატოლები, რათა დაეხმარონ გარკვეული უნარების სწავლების ან მოდელირებისას. ეს, ასევე, ხელს უწყობს სოციალურ ინტერაქციას და გაგებას.
7. **ფუნქციური უნარების ტრენინგი** – ფოკუსირება მოახდინეთ ყოველდღიური ცხოვრებისა და დამოუკიდებლობისთვის აუცილებელი უნარების სწავლებაზე, როგორებიცაა პირადი ჰიგიენა, ფულის მართვა, სამზარეულოს აქტივობები, თვითმომსახურება და სხვა ფუნქციური უნარები.
8. **რუტინა და სტრუქტურა** – პროგნოზირებად და სტრუქტურირებულ სასწავლო გარემოს შეუძლია

დაეხმაროს მოსწავლეებს თავი დაცულად იგრძნონ და გაიგონ, რა არის მოსალოდნელი.

9. **ვიზუალური განრიგი** – გამოიყენეთ ვიზუალური განრიგი ან სქემები ყოველდღიური აქტივობების ან დავალების ნაბიჯების გამოსახვისთვის, რაც ხელს უწყობს გაგებას და დამოუკიდებლობას.
10. **სოციალური ისტორიები** – ეს არის მოკლე ნარატივები, რომლებიც შექმნილია სოციალური სიტუაციების, პროცესების ან ცნებების ასახსნელად ისე, რომ მოსწავლისთვის ადვილი გასაგები იყოს.
11. **პოზიტიური განმტკიცება** – გამოიყენეთ შექება, ჯილდოები და სხვა სტიმული სასურველი ქცევისა და ძალისხმევის მოტივაციისა და წახალისებისთვის. რეგულარულად შეაქეთ და დააჯილდოვეთ მოსწავლე ძალისხმევისა და მიღწევისთვის. ამან შეიძლება გააძლიეროს მოტივაცია და სასურველი ქცევები.
12. **მრავალსენსორული მიდგომები** – სხვადასხვა შეგრძნებების ჩართვა სასწავლო პროცესში შეიძლება შეიცავდეს სმენით ვიზუალურ, ტაქტილურ და კინესთეტიკურ მეთოდებს.
13. **ადაპტირებული მასალები** –ეცვალეთ ან ჩაანაცვლეთ სახელმძღვანელოები, სამუშაო ფურცლები და სხვა სასწავლო მასალები, რათა შეესაბამებოდეს მოსწავლის გაგების დონეს. სასწავლო მასალის მორგება ან მოდიფიცირება მოსწავლის გაგების დონესთან შესაბამისობაში შეიძლება მოიცავდეს ტექსტების გამარტივებას ან ალტერნატიული რესურსების გამოყენებას.
14. **მარტივი ენა** – გამოიყენეთ პირდაპირი და ლაკონური ენა. მოერიდეთ ჟარგონს, მეტაფორებს, გადატანითი მნიშვნელობის სიტყვებს ან წინადადებების რთულ სტრუქტურებს.
15. **დაისახეთ მკაფიო მიზნები** – განსაზღვრეთ მკაფიო, მისაღწევი სასწავლო მიზნები. მუდმივად აკონტროლეთ პროგრესი და საჭიროებისამებრ შეცვალეთ სწავლების სტრატეგიები.

ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლის სწავლება შეიძლება იყოს სასარგებლო გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ ამას შეიძლება დასჭირდეს დამატებითი ძალისხმევა და რესურსები, მოსწავლის ზრდისა და მიღწევების დანახვა მას ღირებულს ხდის. ყოველთვის მიუდექით პროცესს ღია გონებით, მზად იყავით ისწავლოთ და მოერგოთ.

ინტელექტუალური განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის აუცილებელია მაღალი მოლოდინების შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის ტემპი და მეთოდები შეიძლება განსხვავდებოდეს, მათ შეუძლიათ ზრდა და მიღწევა. აღიარეთ მცირე მიღწევები, ფოკუსირდით ძლიერ მხარეებზე და დარწმუნდით, რომ სასწავლო გარემო დამხმარე და ინკლუზიურია.

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეთა სწავლის ეფექტიანი სტრატეგიები

აუტისტური სპექტრის აშლილობის (ASD) მქონე მოსწავლეები სასკოლო გარემოში ხშირად აწყდებიან სხვადასხვა გამოწვევას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს საჭიროებებს აკადემიური სირთულეებიდან სოციალურ სირთულეებამდე. მიუხედავად იმისა, რომ გამოწვევების სიმძიმე და ბუნება მნიშვნელოვნად განსხვავდება ინდივიდებში (იმის გათვალისწინებით, რომ აუტიზმი არის სპექტრი), მიდგომებიც შესაძლოა განსხვავებული იყოს.

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ეფექტური სწავლის სტრატეგია, რომელიც მორგებულია აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეებზე:

1. **სტრუქტურირებული გარემო** – აუტიზმის მქონე ბევრი მოსწავლე ვითარდება სტრუქტურირებულ გარემოში, სადაც რუტინები პროგნოზირებადია. მკაფიოდ განსაზღვრული სივრცეები კონკრეტული აქტივობებისთვის (მაგ.: კითხვის კუთხე ან ხელოვნების სივრცე) ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს.
2. **ვიზუალური მხარდაჭერა** – ვიზუალურმა დამხმარე საშუალებებმა, როგორებიცაა სურათების განრიგი, სოციალური ისტორიები, ვიზუალური წესები და ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციები, შეიძლება გააუმჯობესოს სწავლა და რუტინული მიმდევრობა.
3. **მკაფიო და ლაკონური ინსტრუქციები** – შესთავაზეთ თითო ინსტრუქცია მარტივი და პირდაპირი ენით. შესაძლოა, მომგებიანი იყოს სიტყვიერი ინსტრუქციების ვიზუალურ ნიშნებთან დაწყვილება.
4. **ამოცანების ანალიზი** – ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მსგავსად, აუტიზმის მქონე ადამიანებს შეუძლიათ ისარგებლონ ამოცანების ანალიზით. ეს გულისხმობს ამოცანების დაყოფას უფრო მცირე, უფრო მართვად საფეხურებად და თითოეული ნაბიჯის თანმიმდევრულ სწავლებას.
5. **სოციალური უნარების ტრენინგი** – ნათლად ასწავლეთ სოციალური უნარები როლური თამაშების, ვიდეო მოდელირებისა და სახელმძღვანელო პრაქტიკის მეშვეობით. სოციალური ნარატივები და სოციალური ისტორიები შეიძლება დაეხმაროს მოსწავლეებს სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში გარკვევაში.
6. **სენსორული სტიმულები** – აუტიზმის მქონე ზოგიერთი მოსწავლე მგრძნობიარეა სენსორული სტიმულის მიმართ. სენსორული საკლასო ოთახი – განათების, ხმაურის დონის გათვალისწინებით და სენსორული შესვენების ან ხელსაწყოებით (როგორიცაა ფიჯეტის სათამაშოების) უზრუნველყოფის გათვალისწინებით – შეიძლება სასარგებლო იყოს.
7. **გამეორება და თანმიმდევრულობა** – იყავით თანმიმდევრული მოლოდინებთან, რუტინებთან და სწავლების მეთოდებთან. გამეორება დაგეხმარებათ უნარებისა და ცოდნის განმტკიცებაში.
8. **ვიზუალური და პრაქტიკული აქტივობები** – ჩართეთ ვიზუალური მასალები და პრაქტიკული აქტივობები მრავალფეროვანი სწავლის სტილის მხარდასაჭერად.
9. **პოზიტიური განმტკიცება** – მოახდინეთ იდენტიფიცირება და გამოიყენეთ პოზიტიური გამაძლიერებლები (ქება, ნიშნები, სასურველი აქტივობები) სასურველი ქცევებისა და ძალისხმევის წახალისებისა და დაჯილდოების მიზნით.
10. **მკაფიო საზღვრები და მოლოდინები** – მკაფიოდ განსაზღვრეთ და თანმიმდევრულად აღასრულეთ წესები და მოლოდინები. ვიზუალური შეხსენებები შეიძლება სასარგებლო იყოს.
11. **განზოგადება** – ავარჯიშეთ უნარ-ჩვევების გამოვლენაში სხვადასხვა გარემოში სხვადასხვა ადამიანთან ერთად, რათა დარწმუნდეთ, რომ მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი უნარის განზოგადება განსხვავებულ სიტუაციებში.

12. **ფუნქციური კომუნიკაციის ტრენინგი** – ასწავლეთ მოსწავლეებს ეფექტურად გამოხატონ თავიანთი საჭიროებები, სურვილები და გრძნობები. ეს შეიძლება მოახერხონ ვერბალური ენის, სურათების გაცვლის ან დამხმარე ტექნოლოგიების საშუალებით (ალტერნატიული და აუგმენტური კომუნიკაცია).
13. **მოქნილობა** – მიუხედავად იმისა, რომ რუტინა მნიშვნელოვანია, ასწავლეთ, ასევე, მოქნილობა პერიოდულად მცირე ცვლილებების შეტანით და დაეხმარეთ მოსწავლეს ამ ცვლილებებთან გამკლავებაში. ეს ამზადებს მათ რეალური სამყაროს სცენარებისთვის, სადაც ყველაფერი ყოველთვის ისე არ მიდის, როგორც დაგეგმილი გვქონდა.
14. **ინდივიდუალური ინტერესები** – ეფექტურია მოსწავლის ინდივიდუალური ინტერესების ჩართვა სასწავლო აქტივობებში. ამან შეიძლება გაზარდოს მოტივაცია და ჩართულობა.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის მქონე მოსწავლეთა სწავლის ეფექტიანი სტრატეგიები

ADHD-ის (ყურადღების დეფიციტის/ჰიპერაქტიურობის) მქონე მოსწავლეები ხშირად აწყდებიან სხვადასხვა გამოწვევას სკოლაში/სწავლის პროცესში.

ინტერვენციები, როგორებიცაა ქცევითი სტრატეგიები, გარემოს მოდიფიკაციები, კონსულტაციები, შეიძლება სასარგებლო იყოს ADHD-ის მქონე სტუდენტების აკადემიურ გარემოში წარმატების მისაღწევად. მნიშვნელოვანია, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებში ასახული იყოს შესაბამისი გარემოს აკომოდაციები, დაკავშირებული დროსთან, შეფასებასთან, გრაფიკთან და ინსტრუქციებთან.

ბავშვის ქცევა და წარმატებული სასწავლო შედეგები შეიძლება შეაფერხოს სწავლის ტრადიციულმა მეთოდებმა, რადგან სირთულეები ყურადღების, იმპულსურობის და ზოგჯერ ჰიპერაქტიურობის სფეროში საჭიროებს დამატებით მხარდაჭერას და ცოდნას.

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ეფექტური სწავლის სტრატეგია, რომელიც მორგებულია ADHD-ის მქონე მოსწავლეებზე:

1. **სტრუქტურირებული გარემო** – თანმიმდევრული რუტინული და სტრუქტურირებული გარემოს შენარჩუნება შეიძლება დაეხმაროს ADHD-ის მქონე სტუდენტს, შეიქმნას მოლოდინები და შეამციროს შფოთვა.
2. **დაყავით ამოცანები ეტაპებად** – იმის ნაცვლად, რომ დაავალოთ მოსწავლეს დიდი პროექტი ან დავალება, დაყავით იგი უფრო მცირე, მართვად ნაბიჯებად. ეს ხდის მას ნაკლებად აბსტრაქტულს და უზრუნველყოფს მისი შესრულებისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას.
3. **გამოიყენეთ ვიზუალური დამხმარე საშუალებები** – ისეთი ვიზუალური დამხმარე საშუალებები, როგორებიცაა დიაგრამები, სქემები და გრაფიკული ორგანიზატორები, დაეხმარება ADHD-ის მქონე მოსწავლეებს აზრების ორგანიზებაში.
4. **ხშირი შესვენებები** – დაუშვით მოკლე, ხშირი შესვენებები დავალების მომზადების დროს. ეს ხელს უწყობს ფოკუსირებას და ამცირებს მოუსვენრობას.
5. **აქტიური სწავლება** – სასარგებლოა ფიზიკური აქტივობის ჩართვა სწავლაში. ეს შეიძლება იყოს მოძრაობაზე დაფუძნებული აქტივობები ან ადგომა და გადაადგილების უფლების დაშვება.
6. **პრაქტიკული აქტივობები** – ექსპერიმენტული სწავლა ან პრაქტიკული აქტივობები შეიძლება იყოს უფრო მიმზიდველი ADHD-ის მქონე მოსწავლეებისთვის.
7. **პოზიტიური განმტკიცება** – პოზიტიური ქცევის დაჯილდოებას შეუძლია ADHD-ის მქონე მოსწავლეების მოტივირება და წახალისება. ეს შეიძლება გაკეთდეს შექების, ნიშნების ან სხვა სიმბოლური ჯილდოს სისტემებით.

8. **მკაფიო და ლაკონური ინსტრუქციები** — მათი ყურადღების სირთულეების გათვალისწინებით, აუცილებელია მკაფიო, ლაკონური ინსტრუქციების მიწოდება. ინსტრუქციების გამეორება და გაგების შემოწმება, ასევე, შეიძლება სასარგებლო იყოს.
9. **შეამცირეთ ყურადღების გაფანტვა** — ეს შეიძლება გულისხმობდეს უფრო წყნარ ოთახს, ხმაურის დამწევი ყურსასმენების გამოყენებას ან მასწავლებელთან უფრო ახლოს განთავსებას.
10. **დროის მართვის ინსტრუმენტები** — გამოიყენეთ ტაიმერი, წამმზომი, განრიგი. სმენითი და ვიზუალური ტაიმერები (ქვიშის საათი) დაეხმარება მოსწავლეებს, დაინახონ რამდენი დრო აქვთ დარჩენილი დავალების შესასრულებლად. აქ გასათვალისწინებელია, რომ დათქმული დრო და დავალების სირთულე ერთმანეთის ადეკვატური იყოს.
11. **ინტერაქტიული ჩანაწერების წარმოება** — წაახალისეთ ისეთი მეთოდები, როგორებიცაა სხვადასხვა ფერის კალმების ან ინტერაქტიული რვეულების გამოყენება. ამან შეიძლება პროცესი უფრო საინტერესო და დასამახსოვრებელი გახადოს.
12. **უკუკავშირი და განმავითარებელი კომენტარი** — რეგულარული გამოხმაურება ეხმარება ADHD-ის მქონე მოსწავლეს, გააცნობიეროს, სად სჭირდება გაუმჯობესება და რას აკეთებს სწორად. კომენტარი უნდა იყოს სწრაფი და კონკრეტული, პოზიტიური, ეხებოდეს ქცევას და არა პიროვნულ ფაქტორებს, მოსწავლეს სთავაზობდეს აქტივობის შესრულების სტრატეგიას და გზას.
13. **პირად გამოცდილებასთან კავშირი** — დააკავშირეთ მასალა მოსწავლის პირად ინტერესებთან ან გამოცდილებასთან. ამან შეიძლება სწავლა უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი გახადოს.
14. **აკომოდაცია** — ADHD-ის მქონე ზოგიერთმა მოსწავლემ, როდესაც ამის საჭიროება ნათელია, შეიძლება ისარგებლოს ისეთი პირობებით, როგორებიცაა ტესტების ან დავალებების გახანგრძლივებული დრო, ტესტების ჩაბარება უფრო მშვიდ გარემოში.
15. **ინფორმაციის დანაწევრება** — გრძელი ლექციების ან კითხვის სესიების ნაცვლად, დაყავით ინფორმაცია უფრო მოკლე სეგმენტებად, რომლებიც სხვადასხვა ტიპის აქტივობებს შეიცავს და ადეკვატური ხანგრძლივობისაა.
16. **მეტაკოგნიტური სტრატეგიები** — დაეხმარეთ მოსწავლეებს, გააცნობიერონ თავიანთი აზროვნების პროცესები და ის თუ როგორ მოახდინონ თვითრეგულირება. ეს მოიცავს სტრატეგიებს — მოსწავლემ შეძლოს და გაიაზროს თუ რომელი სასწავლო სტრატეგიაა ეფექტური მისთვის, მაგალითად, ტექსტის მარკირება, დავალების მართვად ნაწილებად დანაწევრება, ვიზუალური საყრდენების გამოყენება თუ სხვა. მეტაკოგნიტური სტრატეგიები ინდივიდუალურია და მის ეფექტიან გამოყენებამდე აუცილებელია ამა თუ იმ სტრატეგიის მოსინჯვა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა ხშირად დამოკიდებულია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე, მასწავლებლის უნარებზე, გარემოსა და ხელმისაწვდომ რესურსებზე. დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლების სტრატეგიების ეფექტურობა ხშირად მოითხოვს მიდგომების, მუდმივი შეფასებისა და მოქნილობის ერთობლიობას. მასწავლებლებს სპეციალისტებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობა გადამწყვეტია არჩეული სტრატეგიების წარმატების უზრუნველსაყოფად.

მამოწმებული ლიტერატურა:

1 "Teaching Students with Special Needs in Inclusive Classrooms" by Diane P. Bryant, Deborah D. Smith, and Brian R. Bryant, 2019
2 "Differentiated Instructional Strategies: One Size Doesn't Fit All" by Gayle H. Gregory and Carolyn Chapman, 2012
3 "The Inclusive Classroom: Strategies for Effective Differentiated Instruction" by Margo A. Mastropieri and Thomas E. Scruggs. 2009
4 "The ADHD Handbook for Schools: Effective Strategies for Identifying and Teaching Students with Attention-Deficit/Hyperactivity Disorder" by Harvey C. Parker, 2005
5 "Autism Spectrum Disorders in the Mainstream Classroom: How to Reach and Teach Students with ASDs" by Barbara L. Boroson. 2005
6 "Teaching Children with Dyslexia: A Practical Guide" by Philomena Ott. 2005

განმავითარებელი აქტივობების როლი სწავლა-სწავლების პროცესში

სოფიკო ცირგაია
ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი

ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზების ხელშეწყობისა და მოსწავლეთა მრავალფეროვანი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის, სწავლა-სწავლების პროცესში, მნიშვნელოვანია დაიგეგმოს ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში დამოუკიდებელი ფუნქციონირებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ხშირად აწყდებიან გარკვეულ გამოწვევებს, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს მათი აკადემიური, შემეცნებითი, მოტორული, სენსორული, სოციალური, ემოციური თუ სხვა მახასიათებლებით. განმავითარებელი აქტივობები, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამების ქვაკუთხედია, ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიზნობრივ მხარდაჭერას.

განმავითარებელი აქტივობები სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილია. მათზე მუშაობა გვაძლევს ფიქრის საშუალებას, როგორ ვიყოთ მეტად შემოქმედებითები. მნიშვნელოვანია, რომ აქტივობები ყველა მოსწავლისთვის ინდივიდუალური საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების ფარგლებში უნდა იყოს შეთავაზებული, რათა, ერთი მხრივ, გაიზარდოს ჩართულობის ხარისხი, მეორე მხრივ კი, სწავლის მოტივაციის გაღვივებას შეეწყოს ხელი.

განმავითარებელი აქტივობები ხშირად ისეა სტრუქტურირებული, რომ ეხმარება მოსწავლეებს, ისწავლონ და გამოიყენონ კონკრეტული უნარები. მაგალითად, დავალება, რომელიც მოითხოვს მოსწავლისგან ობიექტების ფერის, ფორმისა და ზომის მიხედვით დახარისხებას, არა მხოლოდ ასწავლის კატეგორიზაციას და ორგანიზაციულ უნარებს, არამედ აუმჯობესებს ნატიფ მოტორულ უნარებს და თვალისა და ხელის კოორდინაციას.

აღსანიშნავია, რომ სტრუქტურირებულმა აქტივობებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს ქცევითი სირთულეები. აქტივობები, რომლებიც მოიცავს ფიზიკურ მოძრაობას, წონასწორობის დაცვას, საკუთარი თუ სხვისი სხეულის სივრცეში აღქმას,

განსაკუთრებით დაეხმარება მოსწავლეს ქცევის რეგულირებასა და მართვაში.

თანამედროვე, მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის პირობებში, მნიშვნელოვანია ისეთი ჯგუფური აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ხელს შეუწყობს თანატოლებთან ურთიერთობას, იდეების გაცვლას, აზრებისა და გრძნობების სათანადო გამოხატვას. ეს ყოველივე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კომუნიკაციისა და სოციალური უნარების განვითარებისთვის. ჯონსონის მიხედვით, თანამშრომლობითი სწავლა უფრო მაღალ პროდუქტიულობას და მიღწევებს უზრუნველყოფს, უფრო მზრუნველობითი და ხელშემწყობია, აძლიერებს ფსიქოლოგიურ და სოციალურ კომპეტენციებს და თვითშეფასების უნარს.

აქტივობებში მიღწეულმა წარმატებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონიოს მოსწავლის თვითშეფასებასა და თავდაჯერებულობაზე. არსებული გამოწვევების დაძლევა და ახალი უნარების დაუფლება კი ხელს უწყობს პოზიტიურ თვითშეფასებას.

ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო, საგანმანათლებლო აქტივობები აუცილებლად უნდა იყოს ინტეგრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლებაში. ისინი გულდასმით უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ბავშვის მრავალფეროვანი საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლისთვის თავისი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზების საშუალებას.

გთავაზობთ რამდენიმე განმავითარებელ აქტივობას, რომელთა გამოყენება კიდევ უფრო მეტად საინტერესოს, სახალისოს და შემოქმედებითს გახდის სწავლა-სწავლების პროცესს. მოსწავლეს კი აუმაღლებს თვითრწმენას და გამოუმუშავებს საჭირო უნარ-ჩვევებს.

1. აქტივობის მიზანია ანგარიშისა და ნატიფი მოტორული უნარების განვითარება

აქტივობისთვის დაგჭირდებათ მუყაოს ყუთი, მუყაოს მილები, ფერადი პომპონები, წებო, მარკერი, კამათელი.

სთხოვეთ მოსწავლეს, რომ გააგოროს კამათელი. ერთ კამათელზე გამოსახული რიცხვითი რაოდენობის შესაბამისი პომპონი ჩაყაროს პირველ მილში, მეორე კამათელზე გამოსახული კი – მეორეში. ამის შემდეგ, დაითვალოს ყუთში მოთავსებული პომპონები და დაასახელოს მიღებული რიცხვი.

ინსტრუქციის მიწოდების დროს, დავალების მიცემამდე, თავად აჩვენეთ თუ როგორ უნდა შეასრულოს აქტივობა.

2. აქტივობის მიზანია აზროვნების უნარის განვითარება

შესთავაზეთ მოსწავლეს ოთხი კოლოფი, რომლებსაც კატეგორიის აღმნიშვნელი სურათები ექნება მიმანიშნებლად. თავდაპირველად, დარწმუნდით, რომ ბავშვი ცნობს თითოეულ მათგანს. შემდეგ კი მი-

ეცით სხვადასხვა ტრანსპორტის ამსახველი ბარათები და სთხოვეთ გადაანაწილოს შესაბამის კოლოფებში.

აქტივობის დასრულების შემდეგ ჰკითხეთ ტრანსპორტის რომელი სახეობა მოათავსა სარკინიგზო ან საჰაერო კოლოფში; რომელ კატეგორიას მიაკუთვნა ველოსიპედი, ავტობუსი, საჰაერო ბუშტი და სხვ..

3. აქტივობის მიზანია ფანტაზიის, ნატიფი მოტორიკისა და ვიზუალურ-სივრცითი აღქმის უნარის მანვითარება

მუყაოსგან გამოჭერით სტაფილოს მსგავსი ფორმები. გარშემო გაუკეთეთ ნახვრეტები და ერთ-ერთ მათგანში გაუყარეთ ძაფი. თავდაპირველად, თავად აჩვენეთ, როგორ შეიძლება ძაფით სტაფილოს მოქარგვა, შემდეგ კი მოსწავლეს გადაეცით ძაფი და სთხოვეთ გაგრძელება.

მიეცით თავისუფლება და შესაძლებლობა, სურვილისამებრ მოქარგოს სტაფილო.

4. აქტივობის მიზანია წერის, კითხვისა და ნატიფი მოტორული უნარების მანვითარება

სთხოვეთ მოსწავლეს დაასახელოს საკუთარი სახელი. შემდეგ მიუთითეთ ბარათზე დაწერილ მის სახელზე. თითის გაყოლებით, ასო-ასო წაიკითხეთ და შემდეგ გაამთლიანეთ.

მიუთითეთ წერტილოვანი ანბანის ასოებით გამოსახულ სახელზე. საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარეთ წერის პროცესში.

დასასრულს, ნიმუშის მიხედვით, სთხოვეთ სახელის აწყობა და წაკითხვა.



5. აქტივობის მიზანია აზროვნების, მოსმენის, გაგება-გააანალიზების, ორიენტაციისა და მსხვილი მოტორული უნარების განვითარება

იატაკზე დაალაგეთ წელიწადის დროების ამსახველი ბარათები.

უთხარით მოსწავლეს, დადგეს ბარათების მარჯვნივ ან მარცხნივ. დაელოდოს ხმოვან შეტყობინებას და გადახტეს იმ ბარათის გვერდით, რომლის სახელწოდებასაც მოისმენს; მაგ.: „შემოდგომა“; „გაზაფხული“...

ამ აქტივობის მეორე, უფრო გართულებული ვერსიით, მოსწავლეს უკითხავთ კონკრეტული წელიწადის დროის მახასიათებელ ტექსტს. მაგ.:

„რა საოცარი დროა! ბუნება იღვიძებს. მზე ყოველდღე თბება. თოვლი დნება. ჩიტები თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებიან. ხეებზე კვირტები იშლება, მინდორზე კი ყვავილები“.

მოსწავლე ისმენს ტექსტს, ბოლოს კი ხტება იმ ბარათის გვერდით, წელიწადის რომელ დროსაც დაუკავშირა მოსმენილი ინფორმაცია.

6. აქტივობის მიზანია სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება

შესთავაზეთ მოსწავლეს სხვადასხვა სოციალური ილუსტრაცია.

თავდაპირველად, სთხოვეთ, რომ თავად აღწეროს თითოეულ მათგანზე ასახული მოქმედება.

საჭიროების შემთხვევაში, დაუსვით დამაზუსტებელი შეკითხვები:

- რას აკეთებენ ბავშვები?
- რატომ ტირის გოგო?
- რა ემოციას გამოხატავს ბიჭი?

ფოტოების აღწერის შემდეგ, მიეცით განსხვავებული ფერის ლენტები, მოწყენილი და მხიარული ღიმილების გამოსახულებით და სთხოვეთ, რომელ ფოტოზეც კარგ/სწორ ქცევას ავლენენ ბავშვები, დაკიდოს მწვანე ლენტზე, არასწორი ქცევის შენიშვნის შემთხვევაში კი – წითელზე.

- ისაუბროს, არჩევანის გაკეთების შესახებ.

მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა – არჩევანი თუ აუცილებლობა



ნინო ელბაქიძე
განათლების ექსპერტი

ბოლო წლებში ხშირად გვესმის ეს ფრაზა – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა – რომელიც ზოგში შიშს აღძრავს, ზოგში ცნობისმოყვარეობას. არადა, ქართული კულტურისათვის ეს ფრაზა ძალიან ნაცნობია; „სწავლა სიბერემდეო“ – ძველი ქართული ანდაზა სხვა არაფერია თუ არა იმის მტკიცებულება, რომ ადამიანი დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე სულ სწავლობს და ეს ჩვენმა წინაპრებმა ძალიან კარგად იცოდნენ.

ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა და მას აინტერესებს ყველაფერი ახალი, ზოგჯერ – ძველიც. მთავარია, ის, რაც ადამიანის ინტერესის სფეროს განეკუთვნება, სასარგებლო იყოს მისთვის და დაეხმაროს პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაში.

თანამედროვე სამყაროში მცხოვრებ ადამიანს მუდმივად სჭირდება სიახლეების ათვისება; XXI საუკუნეში ან სწავლობ და ვითარდები, ან პროფესიულად და პიროვნულად ჩერდები ერთ ადგილზე. გაჩერება კი უკუსვლის მაჩვენებელია, რადგან სამყარო სწრაფად ვითარდება და ერთ ადგილზე დგომა

მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პრაქტიკულად განხორციელებას ბევრი სიკეთე მოაქვს ადამიანისთვის. პიროვნულ და პროფესიულ ცხოვრებაში არსებული სიძნელეების გადალახვა გაცილებით იოლი ხდება, როცა ადამიანმა მეტი იცის მოსალოდნელი ან მოულოდნელად თავს დამტყდარი განსაცდელების შესახებ, თავის თავში დაჯერებულია და აქტუალური რჩება ყველა მიმართულებით.

იმას ნიშნავს, რომ ცვლილებები უთქვენოდ მიმდინარეობს; სამყარო არ დაგელოდებათ.

ადამიანს, რომელიც თანხმდება მუდმივი განვითარების იდეას, პირველ რიგში, რამდენიმე კითხვა ებადება: საიდან უნდა დავიწყო პროფესიული და პიროვნული განვითარება? რა უპირატესობა მექნება იმ შემთხვევაში თუ მუდმივ განვითარებაზე ვიზრუნებ?

დავიწყოთ პირველით: განვითარებისთვის აუცილებელია ობიექტური თვითშეფასება. გულწრფელი აღიარება საკუთარი თავის წინაშე, რა ვიცით, რა არ

საქართველოში თითქმის ყველა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რომელიც ინკლუზიური განათლების წარმატებულად განხორციელებისთვის არის საჭირო.

ვიცით და რისი სწავლა გვესაჭიროება წინსვლისთვის. განვითარება ორგვარი არსებობს: პიროვნული და პროფესიული. პროფესიული თვითშეფასებისთვის ადამიანს ეხმარება კონკრეტულ პროფესიაში ოფიციალურად ან არაოფიციალურად არსებული სტანდარტები – რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტული პროფესიის ადამიანი, როგორია ამ პროფესიაში არსებული წარმატებული ადამიანების პროფილი და პროფესიული გზა, რას აკეთებენ ეს ადამიანები იმისათვის, რომ იყვნენ აქტუალურები და წარმატებულები.

პიროვნული განვითარების გზა დაუსრულებელი პროცესია და ის იმდენგვარი შეიძლება იყოს, რამდენი ადამიანიც არსებობს ამ ქვეყანაზე. თუმცა, პიროვნული განვითარებისთვის სხვადასხვა ექსპერტი სხვადასხვა გზას გვთავაზობს. ერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ გერმანელი ექსპერტის და კარიერის კონსულტანტის იოხენ მაის ნაშრომიდან „მომავლის უნარები"[1]. მაი ამბობს, რომ პიროვნული უნარები გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის წარმატებაში და დამსაქმებელი სწორედ ამ თვისებებს ეძებს, როდესაც კადრებს არჩევს:

- მოქნილობა;
- სწავლისადმი ინტერესი;
- პრობლემების გადაჭრის უნარი;
- ინტერკულტურული კომპეტენცია;
- პროდუქტიულობა;
- ტექნიკური კომპეტენცია;
- ცვლილებების მენეჯმენტი;
- კომუნიკაციის უნარი;
- ინიციატივის აღების უნარი;
- ინტერდისციპლინური მუშაობა;
- მოქნილობა;
- ემოციური ინტელექტი;
- კრეატიულობა;
- ინფორმაციის დამუშავების უნარი;
- კრიტიკული აზროვნება.

ამ მიმართულებებს საკუთარი განმარტება აქვს და დაინტერესებული ადამიანი მოიძიებს ინფორმაციას იმაზე, თუ რას გულისხმობს თითეული ეს კომპეტენცია; თუმცა განვითარების სწორი გზის დასაგეგმად აუცილებელია გულწრფელი პასუხი შეკითხვაზე – რომელი კომპეტენციაა ჩემთვის განსაკუთრებით დიდი გამოწვევა და რომელი მიმართულებით მესაჭიროება საკუთარი უნარების სრულყოფა.

მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პრაქტიკულად განხოციელებას ბევრი სიკეთე მოაქვს ადამიანისთვის. პიროვნულ და პროფესიულ ცხოვრებაში არსებული სიძნელეების გადალახვა გაცილებით იოლი ხდება, როცა ადამიანმა მეტი იცის მოსალოდნელი ან მოულოდნელად თავს დამტყდარი განსაცდელების შესახებ, თავის თავში დაჯერებულია და აქტუალური რჩება ყველა მიმართულებით.

ადამიანები, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ განვითარებაზე, საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი არიან; უფრო ჯანსაღად და დიდხანს ცხოვრობენ; პროფესიაში წარმატებულები არიან და ე.წ. work-life-balance მოწესრიგებული აქვთ. რაც მეტი იცის ადამიანმა და მეტი უნარები აქვს, უფრო ბედნიერია ის.

როგორ ჩამოვყალიბდეთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მსწავლელად იმისათვის, რომ ჩვენი პროფესიული და პირადი ცხოვრება ჰარმონიული იყოს, ეს პიროვნული გადაწყვეტილების საკითხია. როდესაც ადამიანი გადაწყვეტს, რომ საკუთარი დაფარული უნარები გამოააშკარავოს და გააქტიუროს, თვითგანვითარების ეტაპი უკვე დაწყებული აქვს.

„ადამიანებს ხშირად მეტის გაკეთება შეუძლიათ, მეტის შეცვლა და მეტის სწავლა—ხშირად ბევრად მეტის —ვიდრე ოდესმე წარმოუდგენიათ. ჩვენ გარშემო უამრავი პოტენციალი იმალება“, — ამბობს პროფესორი ბარბარა ოკლი[2], რომელმაც შეიმუშავა სასწავლო პროგრამა „ვისწავლოთ, როგორ ვისწავლოთ“. მისი კურსი 1.5 მილიონ ადამიანს აქვს გავლილი.

ადამიანს ხშირად თავად არ აქვს ბოლომდე გაცნობიერებული, რეალურად რამდენი შეუძლია და რა დაფარულ უნარებს ფლობს. განვითარებისკენ გადადგმული ერთი ნაბიჯიც კი ახალ შესაძლებლობას ხსნის. ეს პროცესი აზარტული და სასიამოვნოა.

არის თუ არა განვითარების გზა ძვირი. დღევანდელ სამყაროში ინფორმაციის მიღება ძალიან ადვილია. განათლების სხვადასხვა საფეხურის გავლისა და ცოდნის მიღების უამრავი ალტერნატივა არსებობს; მაგალითად, უცხო ენების შესწავლა, გარდა ძვირადღირებული კურსებისა, სხვადასხვა აპით და ვიდეო გაკვეთილებით არის შესაძლებელი; იგივე შეიძლება ითქვას კომპიუტერულ პროგრამებზე. უცხო ენისა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო უნარების ფლობა ადამიანს ახალი შესაძლებლობებისკენ უხსნის გზას. რა თქმა უნდა, განათლების მიღება ძვირი ჯდება, მაგრამ როცა ადამიანს გადაწყვეტილი აქვს რაიმეს შესწავლა ყოველთვის იპოვის ხელსაყრელ ალტერნატივას.

მხოლოდ უნივერსიტეტის ან კოლეჯის განათლებით, თანამედროვე ადამიანი დღეს კონკურენტუნა-

რიანი ვერ იქნება. სამყაროს ცვლილებასთან ერთად იცვლება ადამიანური ურთიერთობები, შრომის კულტურა. თუ ადრე უცხო ქვეყანაში მუშაობა იმ ქვეყანაში წასვლის გარეშე შეუძლებელი იყო, დღეს შეგიძლიათ თქვენი სამუშაო ოთახიდან მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში იმუშაოთ, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით. მაგრამ ამისათვის საჭიროა, მუდმივად იცოდეთ, რა მიმართულებით ვითარდება სამყარო, რომელია ტრენდული პროფესიები, როგორ იცვლება ეკომონიკის ტენდენციები. ისეთი პროფესებიც კი, რომლებზეც გლობალიზაციას, ერთი შეხედვით, დიდი გავლენა არ უნდა ჰქონდეს, მუდმივ ცვლილებას განიცდის. ეს ტენდენციები კი ადამიანისგან სისტემატურ ცვლილებებს მოითხოვს, პულსზე ხელის დაჭერას და გარემოში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად უნარების განახლებას.

უწყვეტი განვითარება მხოლოდ პროფესიულ ცხოვრებას არ ეხება. ნებისმიერი ახალი საქმე, რომელსაც შეისწავლის ადამიანი, წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლება. ფინელი მარკეტინგის ექსპერტი ივან ანდრეევი[3] განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობის მაგალითებს გვისახელებს:

- ნებისმერი ახალი უნარის შეძენა (მაგ.: კერვა, სამზარეულო, პროგრამირება, საჯარო გამოსვლა);
- თვითრეგულირებადი სწავლა (მაგ.: ახალი ენის შესწავლა, საინტერესო თემის კვლევა, პოდკასტის გამოწერა);
- ახალი სპორტის ან აქტივობის დაწყება (მაგ.: საბრძოლო ხელოვნებაში მონაწილეობა, თხილამურების სრიალის სწავლა, ვარჯიშის დაწყება);

- ახალი ტექნოლოგიის გამოყენების სწავლა (ჭკვიანი მოწყობილობები, ახალი პროგრამული აპლიკაციები);
- ახალი ცოდნის მიღება (სასწავლო კურსის გავლა ონლაინგანათლების ან საკლასო კურსის მეშვეობით).

როდესაც ადამიანი მზად არის განვითარებისთვის და, იმავდროულად, საგანმანათლებლო ბარიერები შემცირებულია, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორებია შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული განვითარებისა და რეალიზებისთვის.

თანამედროვე განვითარებული სამყარო ინკლუზიურია და ადამიანებს თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს. ეს კულტურა საქართველოში ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება. მაგალითად, პროფესიული განათლების სისტემა ღიაა სხვადასხვა სახის გამოწვევისა და განვითარების სირთულის მქონე ადამიანებისთვის და დღეისათვის უამრავი წარმატებული მაგალითი არსებობს, როგორ ისწავლეს და დასაქმდნენ ადამიანები, მიუხედავად შეზღუდული შესაძლებლობისა თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა.

საქართველოში თითქმის ყველა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, რომელიც ინკლუზიური განათლების წარმატებულად განხორციელებისთვის არის საჭირო. სასწავლო დაწესებულება ვერ მიიღებს ავტორიზაციას ინკლუზიური განათლებისათვის საჭირო გარემოს გარეშე. გარდა ამისა, კოლეჯებში უზრუნველყოფილია ჟესტური ენის თარჯიმნის, დამხმარე ასისტენტის სერვისები. პროფესიული განათლების მასწავლებლები სისტემატურად გადამზადდებიან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში. იმავდროულად, დამსაქმებლებს დაუგროვდათ გამოცდილება სსსმ და შშმ სტუდენტებთან სამუშაო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი მზარდია.

როდესაც ადამიანი მზად არის განვითარებისთვის და, იმავდროულად, საგანმანათლებლო ბარიერები შემცირებულია, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორებია შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული განვითარებისა და რეალიზებისთვის. რა პროფესია გვინდა ვისწავლოთ ან რომელი უნარები განვავითაროთ, ეს ჩვენი გადასაწყვეტია. თვითგადარჩენისა და ცნობისმოყვარეობის თანდაყოლილი ინსტინქტები გვეხმარება, ვიპოვოთ საკუთარი თავი პირად და პროფესიულ ცხოვრებაში; მთავარია, უქმად არ გავფლანგოთ ჩვენი თანდაყოლილი შესაძლებლობები და მხოლოდ იმაზე დავხარჯოთ დრო, რასაც სარგებელი მოაქვს ჯერ ჩვენთვის და შემდეგ ჩვენს გარშემომყოფებისთვის.

შენიშვნები:

1 https://karrierebibel.de/future-skills/
2 https://www.coursera.org/instructor/barboakley
3 https://www.valamis.com/hub/lifelong-learning#lifelong-learning-examples

ტუნა მორკი
კონსულტანტი, STATPED

STATPED-ის გამოცდილება — სპეციალური განათლების მხარდამჭერი სისტემის შექმნა ნორვეგიაში

მე მქვია ტუნა მორკი და ვიყავი Statped-ის (ნორვეგიის სპეციალური განათლების სფეროში ექსპერტიზის ეროვნული ცენტრი) დირექტორი იმ პერიოდში, როდესაც ნორვეგიაში სპეციალური განათლების მხარდაჭერის ეროვნული სისტემა შეიქმნა. პირველად საქმიანობა წინა პროექტში დავიწყე 2012 წელს და შემდეგ, როდესაც Statped დაარსდა, როგორც ორგანიზაცია, დირექტორად გავაგრძელე მუშაობა – 2013 წლიდან – 2020 წლის ბოლომდე.

წარსულში ჩემი საქმიანობა მუდმივად უკავშირდებოდა ზრუნვისა და სოციალური კეთილდღეობის სფეროს. ვიყავი პასუხისმგებელი იმ ახალი ორგანიზაციების დაარსებასა და ხელმძღვანელობაზე, რომელთა სამიზნე ჯგუფები მოწყვლადი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იყვნენ. ვსაქმიანობდი როგორც ნორვეგიაში, ასევე სხვა სკანდინავიურ ქვეყნებში; მაგალითად, სტოკჰოლმში დავაარსეთ სკანდინავიური კეთილდღეობის ცენტრი.

მაქვს მაგისტრის ხარისხი საჯარო სექტორის მოდერნიზების სფეროში კოპენჰაგენის ბიზნესსკოლიდან; ასევე, ფორმალური განათლება მაქვს მიღებული ფინანსების, ფსიქოლოგიისა და ლიდერობის სფეროში.

ინფორმაცია ორგანიზაციაზ STATPED-ის შესახებ

Statped არის ექსპერტიზის ეროვნული ცენტრი სპეციალური განათლების სფეროში, რომელიც ექვემდებარება განათლებისა და კვლევის სამინისტროს.

ორგანიზაციის მისიაა, ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს, ახალგაზრდებსა და უფროსებს, საკუთარი ცხოვრების მაქსიმალურად დამოუკიდებლად მართვაში და იმაში, რომ აქტიურად იყვნენ ჩართულნი განათლების მიღების, პროფესიული საქმიანობისა და სოციალიზაციის პროცესებში.

ორგანიზაციის ექსპერტული საქმიანობა და რესურსები არის თანაბრად ხელმისაწვდომი ყველასთვის და ორგანიზაცია ცნობილია როგორც ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტიზის ცენტრი. ორგანიზაციის მთავარი მიზანი იყო გამხდარიყო სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის სერვისების გამორჩეული და ხელმისაწვდომი მიმწოდებელი და შეექმნა სერვისებზე თანაბარი წვდომა ეროვნულ დონეზე.

Statped-ის რეორგანიზაციასა და დაარსებას საფუძველი ჩაუყარა 2011 წლის ნორვეგიის პარლამენტის მოხსენებამ, რომლის პოლიტიკური მიზანიც იყო

ახალი ეროვნული ორგანიზაციის შექმნა. წარსულში Statped აერთიანებდა თორმეტ დამოუკიდებელი კომპეტენციის ცენტრს, რომლებსაც ჰქონდათ გამოცდილება კონკრეტულ სფეროში, როგორიც იყო, მაგალითად, მხედველობის, სმენის სირთულეები ან კომპლექსური სწავლის სირთულეები. კომპეტენციის ცენტრები დახმარებას უწევდნენ მუნიციპალიტეტებს. შემდეგ კი ეს თორმეტი ცენტრი გაერთიანდა ეროვნულ ორგანიზაციად, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ გაერთიანების მიზანი იყო ყოვლისმომცველი ეროვნული სისტემის შექმნა ადგილობრივი, დეცენტრალიზებული და გაფანტული სერვისების მიმწოდებელი სისტემის ნაცვლად.

აქტივობები, რომლებიც განხორციელდა სისტემის ფორმირების სხვადასხვა ფაზაში

საერთო კულტურისა და იდენტობის განვითარება ცვლილებებისა და შერწყმის პროცესში მნიშვნელოვანი ელემენტია როგორც თანამშრომლებისთვის, ასევე ორგანიზაციის გარე პარტნიორებისთვის. ეს გულისხმობს საერთო ღირებულებებისა და ნორმების ქონას. ჩვენ შევქმენით მკაფიო სერვისის პროფილი, რომელიც მიმართულებას აძლევდა როგორც ფართო საზოგადოებას, ასევე ცენტრის თანამშრომლებს; შეიქმნა გზამკვლევები, სადაც აღწერილი იყო თითოეული ექსპერტული სერვისი და ორგანიზაციის მიზნები:

- სმენის შეზღუდვის/სირთულის მქონე პირებისთვის;
- მხედველობის შეზღუდვის/სირთულის მქონე პირებისთვის;
- შეძენილი თავის ტვინის დაზიანების მქონე პირებისთვის;
- კომპლექსური სწავლის სირთულეების მქონე პირებისთვის;
- მეტყველებისა და კომუნიკაციის შეზღუდვის მქონე პირებისთვის.

ასევე, თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ექსპერტიზის სფეროში, ცენტრის კონკრეტული მიმართულების თანამშრომლებისთვის შემუშავდა პროფესიული სახელმძღვანელოები და რესურსები.

პირველ ეტაპზე შეიქმნა ეროვნული საკოორდინაციო ერთეული, რომლის პასუხისმგებლობაც გახდა სტრატეგიული დაგეგმვის, სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების საკითხებზე მუშაობა, მომხმარებელთან კომუნიკაციაზე ზრუნვა და საზოგადოებასთან დიალოგი, პროფესიებისა და კომპეტენციების განვითარება და, იმავდროულად, ორგანიზაციული მენეჯმენტის მართვა.

ჩამოყალიბდა ოთხი მულტიდისციპლინური რეგიონული ცენტრი, სადაც გაერთიანდნენ პროფესიონალები ყველა საჭირო პროფესიული ექსპერტიზის მიმართულებით.

თითოეულ მუნიციპალიტეტში, სერვისებზე თანაბარი წვდომის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა ახალი განაცხადების მიღების სისტემა – „ერთი კარი“, რომლის დასახელებაც სიმბოლური იყო, რადგან აღნიშნავდა, რომ თითოეული ბენეფიციარი შეძლებდა სხვადასხვა ექსპერტული მომსახურებისა და მისთვის საჭირო სერვისის მიღებას.

შეიქმნა „მომხმარებლის მონაწილეობის სისტემა“

ახალი სისტემის მუშაობისთვის აუცილებელი იყო ბენეფიციარების, სერვისების მომხმარებლებისა და მათი ოჯახების ჩართვა პროცესში. შესაბამისად, შეიქმნა „მომხმარებლის მონაწილეობის სისტემა“ როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე.

შიდა და გარე კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად შეიქმნა ახალი საკომუნიკაციო არხები სხვადასხვა ონლაინპლატფორმაზე. Statped-ს აქვს მნიშვნელოვანი როლი ცოდნისა და კომპეტენციის გავრცელებაში სკოლებში, საბავშვო ბაღებში, უნივერსიტეტებში, საუნივერსიტეტო კოლეჯებში და ა.შ.. ამიტომ ეს პლატფორმა შემდგომშიც განვითარდა; მისი საშუალებით ორგანიზაცია ზრუნავს სერვისის მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მუდმივ მიწოდებასა და გავრცელებაზე.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ორგანიზაციის პროფესიული განვითარებისათვის

- შეიქმნა ჟურნალი, ახალი კვლევებისა და წარმატებული მაგალითების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად განათლების სფეროში;
- დაარსდა პროფესიული ქსელები ექსპერტიზის თითოეული სფეროს მიმართულებით, როგორც არენა, სადაც ერთი და იგივე გამოცდილების მქონე თანამშრომლებს შეეძლოთ გამოცდილებებისა და კომპეტენციების მუდმივი განვითარება;
- შეიქმნა კვლევისა და განვითარების დეპარტამენტი;
- მშობლებისთვის ჩატარდა ტრენინგი, რომელმაც ხელი შეუწყო მათი კომპეტენციის გაზრდას;
- ჩამოყალიბდა სასწავლო რესურსების შემუშავებისა და ტექნოლოგიების გამოყენების განყოფილება, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ კომპეტენციისა და ცოდნის განვითარებაზე იყო პასუხისმგებელი;
- შეიქმნა საბიბლიოთეკო სამსახური, სადაც ცენტრის ყველა განყოფილებას შეეძლო წიგნებსა და ჟურნალებში რელევანტური ლიტერატურის მოძიება;
- ჩატარდა ტრენინგები უმაღლეს მენეჯმენტში და ეს მენეჯმენტი გახდა პასუხისმგებელი დირექტორთა ქსელების გაძლიერებაზე.

Statped-მა რეორგანიზაციის პროცესში წარმატებას მიაღწია ყველა რგოლთან სტრუქტურირებული მუშაობის შედეგად – მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობისას უზრუნველყოფილი იყო თანამშრომლების, ასევე ლიდერების, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფისა და მშობლების ჩართულობა ყველა დონეზე.